ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

„რუსთავი 2"-სა და „იმედს" სარეკლამო ბაზრის 81% უკავიათ

გვ.4

ნიკა გვარამია: „ბექაურს სარეკლამო ბაზარზე პირადი ინტერესები აქვს"

23 თებერვლიდან

ალექსანდრ ლევკოვსკი

ყველაზე შორეული ზურგი



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

პარასკევი, 23 თებერვალი, 2018 №45 (7590) ფასი: 50 თეთრი

# ანა ნაცვლიშვილის მკვლელობისთვის 1997 წელს დაბადებული გ.ლ. დააკავეს



გვ.7

გოგონას ბოლოს მისმა მეგობარმა ბიჭმა დაურეკა – თემქის სისხლიანი ტრაგედიის დეტალები

## „ანა დოლიძეს ჯარში ჰომოსექსუალების შეყვანა უნდოდა"



ნიკოლოზ მჟავანაძე: „არასამთავრობოები საქართველოს დისკრედიტაციას ცდილობენ"

გვ.3



„აზერბაიჯანული მხარე საქართველოს პროკურატურას მუხთარლის დაკითხვის უფლებას არ აძლევს"

## ნიკა მელია: „ქართული ოცნება" ქვეყნის ოპოზიციაშია"



გვ.2

„მოთმინების ფიალა არ არის უშრეტი, ზამბარა ძალიან მტკივნეულად იჭიმება"



გვ.4

## „პასპორტში ეროვნულობის გრაფის აღსადგენად რეფერენდუმს მოვითხოვთ!"

რას აპირებს ქართული მარში

### სამართალი

გვ.7



მუსტაფა ემრე ჩაბუკი: „იმედი მაქვს, საქართველოს სასამართლო ჩემი ექსტრადირების გადაწყვეტილებას არ მიიღებს"



ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულს თავისუფლება აღუკვეთეს



„ჩაწყობილ თამაშებზე" ბრალდებულებმა თავი დამნაშავედ ცნეს

### ეკონომიკა

გვ.6

თბილისის გენგეგმაში ძირეული ცვლილებები არ იქნება



თბილისის მოსახლეობის 5% კრიპტოვალუტას ფლობს



10 ყველაზე სტაბილური ვალუტა მსოფლიოში



ISSN 1987-9385

2 სამადაშვილი: „ანგარიში საგანგაშოა, საქართველოს რეპუტაცია ყოველდღიურად ნადგურდება"

5 ფადი ასლი: „ომეგა ჯგუფი უსამართლოდ ესხმის თავს მთავრობას და უპასუხისმგებლოდ იქცევა"

2 პატრიარქს სახის სამწვერა ნერვის ანთება აქვს

5 ახლო აღმოსავლეთის ახლებურ გადანაწილებაში ექსპერტებმა კავკასია მოაქციეს

# ნიკა მელია: „ქართული ოცნება“ ქვეყნის ოპოზიციაშია“

## „მოთმინების ფიალა არ არის უშრეტი, ზამბარა ძალიან მტკივნეულად იჭიმება“

ნათია ხურცილავა



ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი **ნიკა მელია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პროკურატურაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებსა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ნიკა, პროკურატურაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი შეფასებები გაკეთდა. თქვენ რას უკავშირებთ ამ ცვლილებებს?***

– თუ ხელისუფლება ფიქრობს, რომ არსებული კრიმინოგენური ვითარებიდან გამოსავალი ყველასთვის უცნობი თბილისის პროკურორისა და მისი მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლებაა, მაშინ ეს ძალიან კომიკურია.

***– ეს საკადრო ცვლილებები მასშტაბურია და რეგიონის პროკურორებსაც და, მათ შორის, აჭარის პროკურორსაც ეხება.***

– გასაგებია, მაგრამ ამით აპირებს ხელისუფლება, გაუმკლავდეს იმ საშინელ კრიმინოგენურ ვითარებას, რომელიც ქვეყანაში გვაქვს?! მართლაც, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ამას ვამბობ არა როგორც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი, არამედ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე.

გაუსაძლისია ის ვითარება, როდესაც დღე არ გავა, რომ საშინელი, შემზარავი მკვლელობის მოწმენი არ გავხდეთ. აგერ, გავიგეთ, რომ თემქაზე 21 წლის გოგო მოკლეს. არავინ იცის, რატომ, რისთვის. რამდენიმე კვირის წინ მოკლეს გენერალი ქუთათელაძე საკუთარ კაბინეტში. საქმე დღემდე არ არის გახსნილი. მესტიაში საკუთარ ეზოში ბავშვების თვალწინ ჩაცხრილეს ლომარ ნიგურიანი. მისი საქმე დღემდე გამოუძიებელია, მკვლელი დღემდე დაკავებული არ არის. დოდო გუგეშაშვილის შვილი საკუთარ სახლში ჩაცხრილეს, საქმე დღემდე არ არის გახსნილი. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ?! დღე არ გავა, რომ არასრულწლოვნებს შორის დანაშაული არ მოხდეს. ასევე, დღე არ გავა, ბანკზე ყაჩაღობის შესახებ არ გავიგოთ.

***– თქვენ რას უკავშირებთ ამ ყველაფერს?***

– აქ უკვე საქმე ასე კი არ დგას – ვინ არის ხელისუფლება და ვინ ოპოზიცია, ვინ უჭერს მხარს ხელისუფლებას და ვინ – ოპოზიციას. ქვეყანა მძიმე ქაოსში ეფლობა და ეს ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მწვავე ფორმებს იღებს. პატარა ქვეყნები ასეთ ქაოსს ვერ იტანენ, ძალიან მძიმე შედეგები მოაქვს ამ უმოქმედობას. მაგალითად, უკრაინაშიც არის ქაოსი და მმართველობითი სისტემა საერთოდ ჩამოშლილია, მაგრამ ის მაინც დიდი ქვეყანაა და, ასე თუ ისე, მაინც იტანს. მართალია, ისიც ვერ აიტანს დიდი ხნით, მაგრამ ასეთი შესამჩნევი არ არის. ამ ვითარებაზე კი არ მსჯელობენ პრემიერი, მინისტრთა კაბინეტი, სად არის გამოსავალი, რა შეიძლება ამან მოგვიტანოს, არა, ისინი თავიანთი ვიწრო ინტერესებით არიან დაკავებულნი.

ეს ასე მძაფრად რომ არ ადარდებს ხელისუფლებას და თითქოს არც არაფერი ხდება – ასეთი დამოკიდებულება რომ აქვთ, არაფორმალური მმართველობით არის გამოწვეული. თანამდებობებზე იმყოფებიან ადამიანები, რომლებიც არ გრძნობენ პასუხისმგებლობას, თითქოს მათ ეს არ ეხებათ ან თითქოს სხვა ქვეყნის მინისტრები არიან. აბა, როგორ შეიძლება, როგორ უნდა აიხსნას ის, რომ ეს ადამიანები არაფერს აკეთებენ, არცერთ ნაბიჯს არ დგამენ, რომ რეალური რეფორმები განახორციელონ, ურჩევნიათ, სრულ სტაგნაციაში იყვნენ, როგორმე დაალამონ დღევანდელი დღე და ასე გრძელდება, მაგრამ, მერწმუნეთ, ასე ველარ გაგრძელდება, ამას ხალხი ველარ მოითმენს.

***– ხელისუფლება ამბობს, რომ ადამიანის უფლებების დასაცავად საკანონმდებლო ცვლილებებს ატარებს, რომ ევროკავშირის მოთხოვნით სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტი ამოქმედდება.***

– ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებიც საქართველოში მიმდინარე მოვლენებს აკვირდებიან, ჩვენთვის არცთუ სახარბიელო, კრიტიკულ ანგარიშებს აქვეყნებენ სწორედ ამ მიმართულებით, რაც ძალიან ცუდად აისახება ჩვენი ქვეყნის იმიჯზე თუნდაც საერთაშორისო არენაზე. აღარ ვსაუბრობ ქვეყნის შიგნით მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მთელ ოპოზიციურ სპექტრზე.

დღე არ გავა, რომ დასავლურმა ავტორიტეტულმა ორგანიზაციებმა მუხთარლის საქმე არ შეგვახსენონ. ხელისგულზე დევს ეს საქმე, მაგრამ გამოუძიებელია. როგორ თქვენ ფიქრობთ, ამ პროკურორების გამოა გამოუძიებელი ეს საქმე?! ამ პროკურორების ბრალი კი არ არის, პირველ რიგში, პოლიტიკური ნების არარსებობის მიზეზით არის გამოწვეული. აბა, რომ იყოს პოლიტიკური ნება, სულ სხვა ვითარება იქნებოდა. ეს პროკურორები ხელისუფლებას ჰყავს პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების გამოსაძიებლად.

***– მაჟორიტარ დეპუტატ ოთარ დანელიას განცხადებას თქვენ რას უკავშირებთ, „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირებაა?***

– ეს კლანებს შორის დაპირისპირების გამოვლინებაა. მსგავსი სურათი კიდევ არაერთი შეიძლება იყოს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია ის, რაზეც გესაუბრეთ, ის შექმნილი ვითარება, რომელიც უკვე მართლაც საგანგაშო სახეს იღებს.

***– რა არის გამოსავალი?***

– გამოსავალია ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის, ყველა ოპოზიციური პარტიის მობილიზება და მთავარი ღირებულებების გარშემო გაერთიანება.

***– რა არის დღეს ოპოზიციისთვის მთავარი ღირებულება?***

– ეს არის ბიძინა ივანიშვილის დამარცხება. ჩვენ უნდა შევძლოთ მისი დამარცხება. დღეს ხელისუფლებას რომ ვუყურებ, ასე მგონია, ოპოზიციაა, დღეს ხელისუფლებაა ოპოზიციაში, ოღონდ – ქვეყნის ოპოზიციაში. გამოსავალია გაერთიანებაში, არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების, არამედ საზოგადოებრივი ჯგუფების სრულ მობილიზებასა და გაერთიანებაში. ამ შემთხვევაში ასეთ ხელისუფლებას დიდი დღე არ უწერია.

მე ვვარაუდობ, რომ უახლოეს პერიოდში ამ ყველაფერს მძლავრი საპროტესტო მუხტი დაუპირისპირდება. არ გამოვრიცხავ, რომ, თუ ასე გაგრძელდა და ხელისუფლებამ ამის შესაჩერებლად რაიმე არ იღონა, უმძიმეს კრიზისში აღმოჩნდება, საიდანაც უკანდასახევი გზა არ ექნება.

ეს ხალხი ფიქრობს, რომ მუდამ ხელისუფლებაში იქნება, მუდამ მართვის სადავეები ექნება, მაგრამ ძალიან ცდება, რადგან ხალხის ძალა გაუგონრად აღმატებული და ძლიერია ნებისმიერ ხელისუფლებასთან შედარებით. მოთმინების ფიალა არ არის უშრეტი, ზამბარა ძალიან მტკივნეულად იჭიმება.

## პატრიარქს სახის სამწვერა ნერვის ანთება აქვს

– კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს სახის სამწვერა ნერვის ანთების გამო მკურნალობა უტარდება.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პატრიარქის ექიმმა ცისანა შარტავამ განუცხადა.

მისივე თქმით, პატრიარქს სახის სამწვერა ნერვის ანთება გასულ კვირას გამოუვლინდა. მკურნალობის შედეგად დადებითი დინამიკა უკვე შეინიშნება.

– გაციებისა და დაქვეითებული იმუნიტეტის ფონზე სახის სამწვერა ნერვის ანთება განვითარდა, რამაც სახეზე გარკვეული ცვლილებები გამოიწვია. მკურნალობა სახლის პირობებში, სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს. მანამდე პატრიარქს კვირის დასაწყისში თოდუასა და ჩაფიძის კლინიკებში სათანადო გამოკვლევები ჩაუტარდა, რათა სხვა რაიმე მიზეზი გამორიცხულიყო. ანალიზების შედეგები ძალიან კარგია, – განაცხადა შარტავამ.

## იან კელი: „გზა, რომელსაც მიჰყვებით, რთულია, შეიძლება, გრძელიც აღმოჩნდეს, მაგრამ თქვენ მარტო არ ხართ“




– გზა, რომელსაც მიჰყვებით, რთულია, შეიძლება, გრძელიც აღმოჩნდეს, მაგრამ თქვენ მარტო არ ხართ.

ამის შესახებ აშშ-ის ელჩმა საქართველოში იან კელიმ განაცხადა, რომელმაც საქართველოში თავისი სამწლიანი საქმიანობა შეაჯამა.

– როდესაც ამერიკის ვიცეპრეზიდენტი პენსი აქ იმყოფებოდა 2017 წლის 1-ლ აგვისტოს, მან ოთხი ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოთქვა: „ჩვენ თქვენთან ერთად ვართ“. მისი გამგზავრების შემდეგ ჩემი მოადგილე ელიზაბეტ რუდი და მომდევნო ელჩი გააგრძელებენ ჩვენს მისიასა და თქვენი ძალისხმევის მხარდაჭერას. აგრძელებს რა საქართველო ამ კურსით სვლას, ამერიკის შეერთებული შტატების მომავალ ელჩებს ექნებათ შესაძლებლობა, საქართველოს უწოდონ არა მხოლოდ პარტნიორი, არამედ მოკავშირეც, – განაცხადა იან კელიმ.

იან კელის თქმით, მას სჯერა საქართველოსა და ქართველების და იმის, რომ ქვეყნის მისწრაფებები წარმატებით დაგვირგვინდება.

– შეიძლება თქვენ დგახართ უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე და არსებობს წინააღმდეგობები ქვეყნის შიგნით და გარეთ, რაც ცდილობს დემოკრატიის შესუსტებას, თუმცა თქვენ გაქვთ სათანადო გარემო თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარებისთვის: ენერგიული სამოქალაქო საზოგადოება, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რეფორმების განხორციელების პოლიტიკური ნება.

დემოკრატიისათვის შრომას თქვენ ნაყოფიერ ნიადაგზე ეწევით, – განაცხადა შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში.

იან კელი საქართველოში დიპლომატიურ საქმიანობას ასრულებს.

## სულხან მოლაშვილის, სერგო თეთრაძისა და ვანო მერაბიშვილის საქმის მოსამართლეები უვადოდ დანიშნეს



იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სულხან მოლაშვილისა და ე.წ. კაბელების საქმის განმხილველი მოსამართლე მანუჩარ კაპანაძე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში უვადოდ გაამწესა. კაპანაძეს ხმა საბჭოს 11-მა წევრმა მისცა, 4 კი წინააღმდეგი წავიდა.

ასევე უვადოდ დაინიშნა საბჭოს მოქმედი წევრი რეზო ნადარაია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. 12 ხმა მიიღო საბჭოს კიდევ ერთმა წევრმა ირაკლი ბონდარეკომ.

რაც შეეხება სერგო თეთრაძისა და ვანო მერაბიშვილის საქმის განმხილველ მოსამართლე გიორგი გოგინაშვილს, მან საბჭოს წევრთა 11 ხმა მიიღო.

## სამადაშვილი: „ანგარიში საგანგაშოა, საქართველოს რეპუტაცია ყოველდღიურად ნადგურდება“



Amnesty International-ის ანგარიშს, სადაც საუბარია მუსტაფა ემრე ჩაბუქისა და აფგან მუხთარლის საქმეებზე და სადაც ასევე ნათქვამია, რომ ქვეყანაში დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი ვერ ამუშავდა, საპარლამენტო ოპოზიცია ეხმაურება და ამბობს, რომ ანგარიში ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს აზიანებს. ნაციონალურ მოძრაობაში აცხადებენ, რომ ანგარიში საგანგაშოა და ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას.

– ანგარიში საგანგაშოა. ვხედავთ, რომ საქართველოს რეპუტაცია ყოველდღიურად ნადგურდება. საქართველო, რომელიც რეგიონში უნდა იყოს მართლაც დემოკრატიის სამაგალითო ქვეყანა. ქვეყანა, რომელიც თავის სტრატეგიულ მნიშვნელობას სწორედ ამით აძლიერებს, რომ ამ ქვეყანაში განსხვავებით ჩვენი მეზობელი ზოგიერთი სახელმწიფოსგან ადამიანის უფლებები დაცულია. საქართველო ემსგავსება კიდევ ერთხელ პოსტსაბჭოთა სივრცის მორიგ ქვეყანას, რომელიც ადამიანის უფლებებს ფეხქვეშ თელავს. სამწუხაროდ, მსგავსი ანგარიშები დიდ პრობლემას შეუქმნის ჩვენი ქვეყნის ევროპულ დღის წესრიგს, ჩვენს ურთიერთობებს ნატოსთან და, შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, მყისიერი რეაგირება მოახდინოს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმით, – აცხადებს სალომე სამადაშვილი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ანა დოლიძეს ჯარში ჰომოსექსუალების შეყვანა უნდოდა“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „არასამთავრობოები საქართველოს დისკრედიტაციას ცდილობენ“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ აფარებენ ქართული არასამთავრობოები აზერბაიჯანის ხელისუფლებას ხელს, რის გაკეთებას აპირებდნენ თინა ხიდაშელი და ანა დოლიძე თავდაცვის სამინისტროში, რა უნდა მოითხოვონ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული სამხედროების მშობლებმა, რაში უნდა მივბაძოთ ამერიკას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– მუხთარლის საქმე ისევ აქტუალურია და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები დღემდე აქტიურად ითხოვენ პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას. ამ იდეას მხარს უჭერენ არასამთავრობოებიც. საქმის გამოძიებაში რომ პრობლემები ყოფილიყო, ამ კომისიის შექმნა უპრიანი იქნებოდა. ჩვენ კი სულ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე – გამოძიება თავის უფლებამოსილებას ვერ ახორციელებს.

საქართველოს პროკურატურას არ მიეცა იმის უფლება, რომ ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები და მუხთარლი დაკითხოს. მუხთარლი ამ ამბის მთავარი ფიგურანტია და საქმეს მსვლელობა ვერ მიეცემა, თუ მისი დაკითხვა არ მოხდება.

მაინტერესებს, ნაციონალურმა მოძრაობამ მასთან დაკავშირებულ არასამთავრობოებთან ერთად ერთხელ მაინც რატომ არ დააყენა ეს საკითხი? იმაზე ხომ აქტიურად საუბრობენ, რომ კამერების ჩანაწერები წაიშალა. იმაზეც წუხან, ამ საქმის გამოძიება თავიდანვე პროკურატურამ რატომ არ დაიწყოო.

სამაგიეროდ, არავინ არ იღებს ხმას იმ უდიდეს ხარვეზზე, როცა გამოძიებას იმის საშუალებას არ აძლევენ, დაკითხოს პიროვნება, რომელიც გაიტაცეს.

***– აღიარებთ, რომ მუხთარლი გაიტაცეს?***

– გაიტაცეს თუ გამოიტაცეს, ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. ეს კაცი ამბობს, გამიტაცესო, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი



არის ის, რომ საგამოძიებო უწყებას მისი დაკითხვის უფლებას არ აძლევენ.

***– ვინ არ აძლევს პროკურატურას მისი დაკითხვის უფლებას?***

– საქართველოს პროკურატურას საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში ხელს აზერბაიჯანული მხარე უშლის.

***– საქართველოს პროკურატურამ მოითხოვა მისი დაკითხვა?***

– რა თქმა უნდა. თავის დროზე მთავარმა პროკურორმა თქვა, ჩვენ მუხთარლის დასაკითხად უნდა ჩავიდეთ აზერბაიჯანშიო.

***– თუ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლებას არ აძლევენ, პროკურატურა ამაზე ხმას რატომ არ იღებს?***

– ხმას იმიტომ არ იღებენ, რომ აზერბაიჯანი ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად ითვლება და მისი გაღიზიანება არ უნდათ. მთავარი პროკურატურის კიდევ მესმის, მაგრამ არ მესმის იმ არასამთავრობოების, რომლებიც ამ თემაზე ყვირიან, მაგრამ ამ მომენტზე ყურადღებას არ ამახვილებენ.

***– პროკურატურა თუ არაფერს ამბობს, ამათ რა უნდა თქვან, იქნებ არ იციან?***

– ძალიან კარგად იციან, მაგრამ შეგნებულად არ იღებენ ამაზე ხმას.

***– რატომ არ იღებენ, აზერბაიჯანის ხელისუფლებას აფარებენ ხელს?***

– არა მგონია, აზერბაიჯანის ხელისუფლებას აფარებდნენ ხელს. ამათი მიზანი საქართველოს ხელისუფლებისა და მთლიანად ქვეყნის დისკრედიტაციაა.

ყველას მოგეხსენებათ, რომ უამრავი ფობია არსებობს. არსებობს ფსიქიატრიაში ასეთი ტერმინი – ოიკოფობია, რომელიც ყოველივე მშობლიურის მიმართ ანტიპათიურ განწყობას აღნიშნავს.

ნაცები და ამ პარტიასთან დაკავშირებული არასამთავრობოები სწორედ ოიკოფობიით არიან შეპყრობილი. მათ იმდენად სძულთ საქართველო, რომ მას მაშინაც ებრძვიან, როცა ის არაფერ შუაში არ არის.

რამდენიმე სიტყვა მაგ მუხთარლის მეუღლეზეც მინდა ვთქვა. ლეილა მუსტაფაევა რომ გამოდის და საქართველოს ხელისუფლებას ბრტყელ-ბრტყელ საყვედურებს ეუბნება, აზერბაიჯანის ხელისუფლებაზე ხმას რატომ არ იღებს? თბილისში არის აზერბაიჯანის საელჩო და იქ გამართოს აქცია.

ეს მოღალატე არასამთავრობოები იმაზე რატომ არ იღებენ ხმას, მუხთარლი თავისი დისა და დისშვილის ორმოცზე რომ გამოუშვეს.

***– ამაზე რა უნდა თქვან, იქაური ხელისუფლების კეთილი ნება იყო.***

– აზერბაიჯანი დემოკრატიული ქვეყანა არა არის, რომ ამ ქმედებას კეთილი ნება დავარქვათ. მე ისიც საეჭვოდ მეჩვენება, ამ კაცს ჟურნალისტებთან თავისუფლად საუბრის უფლება რომ მისცეს. ისიც იდგა და საქართველოს ხელისუფლებას ლანძღავდა.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს კაცი გარეთ იმიტომ გამოიყვანეს, ჟურნალისტებთან საქართველოს ხელისუფლება ელანძღა?***

– მე მხოლოდ იმას ვამბობ, რასაც ვხედავ. აზერბაიჯანის ხელისუფლებას ადამიანის უფლებები ფეხქვეშ აქვს გათელილი და პატიმარს დისა და დისშვილის ორმოცზე უშვებენ. ასეთი დემოკრატები თუ იყვნენ, დაკრძალვაზე რატომ არ გამოუშვეს? გამოვიდა და საქართველო და მისი ხელისუფლება ლანძღა.

საქართველოსა და მის ხელისუფლებას არასამთავრობოებიც გამალებით ლანძღავენ და ეს, როგორც უკვე გითხარით, ოიკოფობიის გამოვლინებაა. გაქანებული ოიკოფობია ანა დოლიძეც, რომლისგანაც ოპოზიცია და არასამთავრობოები წამებულის შექმნას ცდილობენ.

***– ანა დოლიძეს რაღას ერჩით?***

– რას ჰქვია, რას ვერჩი! ის რას ერჩოდა საქართველოს, როცა მის წინააღმდეგ სარჩელის შეტანაში ეხმარებოდა რუსებს და ახლა ეს ადამიანი მთელ სასამართლო სისტემას არიგებს ჭკუას.

საშინელებები დაატრიალა იუსტიციის საბჭოში. ქალბატონია, თორემ იქ საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდე მივიდოდა.

ჩემთვის იყო შოკისმომგვრელი, როცა ანა დოლიძემ ტელეკომპანია რუსთავი 2-ს აღიარებითი ჩვენება მისცა. კერძოდ, აღიარა, რომ 2008 წლის ომთან დაკავშირებით რუსულ არასამთავრობო ორგანიზაცია „რუსეთის მართლმსაჯულების ინიციატივას“ აწვდიდა ინფორმაციებს როგორც ქართველების, ასევე რუსების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე.

თავის მხრივ კი ამ ორგანიზაციას ევროპულ სასამართლოში სარჩელები შეჰქონდა საქართველოს წინააღმდეგ. ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმეა „სიპოლსი საქართველოს წინააღმდეგ“, რომლითაც მოსარჩელე საქართველოს სახელმწიფოს ადანაშაულებს ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვის დროს რუსეთის მოქალაქეების განზრახ მკვლელობაში. გახსოვთ, რომ „მძინარე ცხინვალის დაბომბვა“ და „ოსების გენოციდი“ მთავარი ბრალდებები იყო საქართველოს ხელისუფლების მიმართ.

***– მისი ეს განცხადება რატომ აღმოჩნდა თქვენთვის შოკისმომგვრელი? ანა დოლიძე ამას არასდროს მალავდა.***

– არ მალავდა, მაგრამ არასდროს უღიარებია, რომ საქართველოს მძინარე ცხინვალის დაბომბვასა და რუსეთის მოქალაქეების მკვლელობას სდებდა ბრალად.

***– ეს ანა დოლიძისგან რატომ გაგიკვირდათ? ის ხალხი, ვინც სააკაშვილის ოპოზიციაში იყო, ყველა ერთხმად გაიძახოდა, მიშამ მძინარე ცხინვალი დაბომბაო.***

– ეს განცხადებები კეთდებოდა საქართველოში, ანა დოლიძე კი იმ ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა, რომელმაც საქართველოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. ანა დოლიძე გახლავთ ლევან ბერძენიშვილისა და თინა ხიდაშელის გაზრდილი პიროვნება. რაც თინა და ლევანი არიან იდეურად, ის არის ეს ქალიც.

შენი ქვეყანა რაც არ უნდა დამნაშავე იყოს, რატომ უნდა წახვიდე მის წინააღმდეგ, არ მესმის. ეს ადამიანი იუსტიციის საბჭოში კი არა, ტელევიზიაში არ არის გამოსაჩენი. ადამიანი, რომელსაც თავისი ქვეყნის წინააღმდეგ რაღაც ნაბიჯი აქვს გადადგმული, მაღალ თანამდებობაზე არ უნდა ინიშნებოდეს.

ამის მერე გამოდიან ვიღაცები და ამბობენ, რომ ანა დოლიძე სააკაშვილის რეჟიმს უპირისპირდებოდა. საიას თავმჯდომარეობისას ერთი-ორი სიტყვა მართლა თქვა ამ რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ამერიკაში წავიდა სასწავლებლად, ნაცებზე ხმა აღარ ამოუღია. ამიტომ ბევრს ნუ ლაპარაკობენ, რომ ის სააკაშვილის რეჟიმს ებრძოდა.

სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ადამიანს ნიკა გვარამიამ სასამართლო სისტემის ერთადერთი ნათელი წერტილი უწოდა. ეს უკვე კარგად მეტყველებს, თუ რას წარმოადგენს ეს ქალი – მას ნაცები უჭერენ მხარს.

ვაღიარებ, რომ სასამართლოში ყველაფერი კარგად არ არის, ისიც ვიცი, რომ იქ ადეიშვილის ხალხია და ეს მეც არ მომწონს, მაგრამ ანა დოლიძის აქტიურობა მათ წინააღმდეგ არ არის მიმართული. ამ ქალს სხვა მიზნები აქვს.

***– რა მიზნები აქვს?***

– უნდა, რომ სასამართლო სისტემაში ფსევდოლიბერალები და სოროსის წიწილები შეიყვანოს. მერე ამ სისტემასაც ისევე სრულად გააკონტროლებენ, როგორც სახალხო დამცველის ოფისს აკონტროლებენ. საპარლამენტო უმრავლესობის დიდ ნაწილსაც სოროსის წიწილები წარმოადგენენ. ახლა სასამართლოს გაკონტროლება სურთ.

მინდა, ყველამ კარგად დაიმახსოვროს ჩემი სიტყვები: ფსევდოლიბერალებმა თუ სასამართლოში შეაღწიეს, სააკაშვილის სასამართლო მონაგონი იქნება.

***– თქვენ ამბობთ, რომ ანა დოლიძე ამერიკაში წასვლის შემდეგ სააკაშვილს აღარ ებრძოდა. მეოცნებეთა დიდი უმრავლესობა, ბიძინა ივანიშვილის თამადობით, 2011 წელს დაუპირისპირდა ნაციონალებს, ანა დოლიძე კი ბევრად ადრე აკრიტიკებდა მათ.***

– გეთანხმებით. იმასაც ვაპროტესტებ, რომ ხელისუფლება თუ აღმასრულებელი, თუ საკანონმდებლო პორტირებული ნაცებით არის სავსე. ამას სულ ვაპროტესტებ და თქვენს გაზეთთან უამრავჯერ მაქვს ამაზე განცხადება გაკეთებული. „ოცნებაში“ პორტირებული ნაცების ყოფნა ანა დოლიძის კრიტიკის უფლებას არ მართმევს.

***– ამის უფლებას არავინ გართმევთ, მაგრამ ამ სარჩელებზე, რომლებიც ახლა გაუხსენეს ანა დოლიძეს, მაშინ რატომ არავინ საუბრობდა, თავდაცვის მინისტრის მოადგილედ რომ დანიშნეს?***

– როგორ არა? ძალიან კარგადაც საუბრობდნენ. და რა კარგია, რომ ეგ პერიოდი გამახსენეთ. თავდაცვის მინისტრის მოადგილეობისას მან მორიგი ანტისახელმწიფოებრივი განცხადება გააკეთა. ერთ-ერთ შეხვედრაზე მან თქვა, სამხედრო ნაწილებში სხვადასხვა აღმსარებლობის ჯარისკაცებისთვის სალოცავი ოთახები უნდა გავხსნათო. ჩვენ ვალდებული ვართ, ყველა აღმსარებლობას პატივი ვცეთ, მაგრამ სალოცავი ოთახების შექმნა მეტისმეტი იყო.

ამ ქალმა ეგეც არ იკმარა და მოითხოვა, ჯარში სამსახურის უფლება განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ხალხსაც უნდა მიეცესო. ამას ტრამპიც კი ეწინააღმდეგება და ამათ მომინდომეს რაღაცები.

***– რას ხედავთ ამაში ტრაგიკულს? შესაძლოა, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანი ისეთი სტრატეგი იყოს, ახლოს ვერ მივიდნენ გამოკვეთილი მამრები.***

– კარგით ახლა, არ არის ასე საქმე, ასეთ რამეებს ცოტა სერიოზულად უნდა მივუდგეთ.

***– არასერიოზული რა ვთქვი, ალექსანდრე მაკედონელსაც ჰქონდა განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია, მაგრამ....***

– რა შუაშია აქ მაკედონელი. ტრამპმაც კარგად იცის მაკედონელის შესახებ, მაგრამ წინააღმდეგია, რომ არმიაში განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ხალხმა იმსახუროს. ყველაფერში აშშ-ს ბაძავენ და რაღა ამაში უნდათ, რომ განსხვავებული იყვნენ? ცოტა ვერ გავიგე.

***– თქვენ ხომ არ მოგწონთ ამერიკა? რაღა ეს ინიციატივა მოგეწონათ?***

– მე არ მიყვარს ამერიკა? მე ყველა ქვეყანა მიყვარს. უარყოფით პოზიციებს პოლიტიკური ფიგურების მიმართ ვაფიქსირებ, ქვეყანამ რა დამიშავა.

***– ტრამპის მოსვლის შემდეგ ამ ქვეყანას მართლა დაუტკბით.***

– არავისაც არ დავუტკბი. გიმეორებთ, არცერთი ქვეყნის წინააღმდეგი მე არ ვყოფილვარ. და დამამთავრებინეთ, რასაც ვამბობ: ქართული ჯარი ბრძოლაში რომ მიდიოდა, ჯვარი მიუძღოდა. კიდევ კარგი, თინა ხიდაშელი გაუშვეს მინისტრობიდან და თან დოლიძეც მიაყოლეს, თორემ ეგ ორი ქალი დააქცევდა ჯარს. მაგათ რომ დასცლოდათ, ჯარში განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ხალხს მიიყვანდნენ.

***– თქვენ გგონიათ, ანა დოლიძის განცხადების შემდეგ ჯარს ტრანსგენდერების არმია მიაწყდა? ჯარში ე.წ. მუჟიკებს აღარ უნდა წასვლა.***

– ვიღაცებს მაინც წაიყვანდნენ. ვიღაცას ხომ დაადგმევინეს შოუ. არ დასცალდათ, თორემ დაშლილი იქნებოდა ქართული ჯარი. მის რუსულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას დავუბრუნდები და ძალიან მიკვირს, რატომ არ მიდიან მასთან შვილმკვდარი დედები და პასუხს არ სთხოვენ.

მოვუწოდებ იმ ადამიანებს, რომლებსაც შვილები აგვისტოს ომში დაეღუპათ, მივიდნენ ანა დოლიძესთან და დეტალურად მოაყოლონ, რა საბუთებს აგროვებდა საქართველოს წინააღმდეგ.

გიორგი მარგველაშვილსაც უნდა მოეთხოვოს პასუხი, მაგის წარდგენილია ანა დოლიძე, ან მაგას რაზე უნდა ველაპარაკო, კაცი პრეზიდენტია და ფაროსანების დახოცვა დაიწყო.

***– არ მოუკლავს ის ფაროსანა, იკითხა, მოვკლა-არ მოვკლაო?***

– ჰო, კარგი, ლირიკული გადახვევა იყო და არ დამიწერო, არ არის სახუმაროდ საქმე – ჯარი, როგორც იქნა, ვიხსენით ფსევდოლიბერალებისგან და ახლა სასამართლო სისტემაში აპირებენ შესვლას. მიმაჩნია, რომ ადამიანი, რომელმაც საქართველოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, ასეთ მაღალ თანამდებობაზე არ უნდა იყოს.



**„აზერბაიჯანული მხარე საქართველოს პროკურატურას მუხთარლის დაკითხვის უფლებას არ აძლევს“**

# „პასპორტში ეროვნულობის გრაფის აღსადგენად რეფერენდუმს მოვითხოვთ!“

## რას აპირებს ქართული მარში

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერი **სანდრო ბრეგაძე** პასუხობს.

***– ბატონო სანდრო, რა ხდება ქართულ მარშში? ამბობენ, რომ სერიოზული აზრთა სხვაობაა და დაშლის პირასაა. ასეა?***

– არაფერიც არ ხდება, ყველაფერი მიდის იმ გეგმის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს ლიბერასტ-სოროსული ჭუჭყის მოცილებას ჩვენი ქვეყნიდან. ქართული მარში ბევრად უფრო მობილიზებულია, ბევრად უფრო ეფექტურია. არანაირი განხეთქილება და არც აზრთა სხვადასხვაობა არ არის. ჩვენ გვაქვს ჩვენი სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები, რომელთაც მივყვებით ნაბიჯ-ნაბიჯ. დანარჩენს საზოგადოება თავად იხილავს, თუ რა დღეში ჩავაგდებთ იმ ანტიქართულ ძალებს, რომლებიც მზად არიან, საქართველო აქციონ ქვეყნად, სადაც ქართველები არ იარსებებენ.

***– ქუჩაში პატრულირების დაწყება რას ისახავს მიზნად?***

– ჯერჯერობით არ დაწყებულა ეს პროცესი, მაგრამ უახლოეს ხანებში დაიწყება. ქართველი ახალგაზრდები გაუწევენ მონიტორინგს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამართალდამცავი უწყებების მუშაობას უცხოელ მიგრანტებთან თუ უცხოელ კრიმინალებთან მიმართებით. აღმაშენებლის გამზირზე, რესპუბლიკის მოედანზე, ლესელიძის ქუჩასა და კიდევ ბევრ ადგილას შექმნილია კრიმინალური ანკლავები, სადაც უცხოელები ეწევიან ათას უკანონო საქმიანობას.

***– კერძოდ?***

– დაწყებული ნარკოტიკებით ვაჭრობით, დამთავრებული ტრეფიკინგით. სამწუხაროდ, ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები არ ახორციელებენ ეფექტურ ღონისძიებებს, რომ ეს კრიმინალი აღმოიფხვრას. ამიტომ ამაში ჩვენც ჩავერთვებით.

***– საზოგადოების ნაწილი ამბობს, რომ სათანადოდ არ ისჯება უცხოელების მიერ ჩადენილი დანაშაული. რატომ?***

– არ არის პოლიტიკური ნება და იმიტომ! სამწუხაროდ, შეშინებულია ჩვენი ხელისუფლება, თუ რატომ არის შეშინებული, ეს თავად ხელისუფლებას უნდა ვკითხოთ. საზოგადოება მზად არის, ჩვენი ახალგაზრდები მზად არიან, გამოვიდნენ და გამოაფხიზლონ სახელმწიფო, გამოაფხიზლონ ხელისუფლება და მიუთითონ, რომ მათი მთავარი მოვალეობა კანონის აღსრულებაა და კანონი უნდა აღსრულდეს.

***– თქვენი მიზანი რა არის?***

– ჩვენი მონიტორინგის, ანუ პატრულირების, როგორც ზოგიერთი უწოდებს, მთავარი მიზანი არის ინფორმაციის მიწოდება და საზოგადოებისთვის გაგებინება იმისა, თუ რა ხდება რეალურად თბილისის ქუჩებში. თუ რა კრიმინალთან და რა საშინელებასთან გვაქვს საქმე. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ, საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში დაახლოებით 800 ათასი ადამიანით შემცირდა საქართველოს მოსახლეობა.

***– გადინება არის ძალიან მაღალი. ეს ყველაფერი ალბათ სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარეობს.***

– არა მარტო სოციალური მდგომარეობიდან. სოციალური მდგომარეობა ერთია, მაგრამ მეორეა საქართველოდან ხალხის გადინება უცხოეთში საცხოვრებლად და, ამავე დროს, მათ ადგილას უცხოტომელების ჩამოსახლება და ჩვენს ტერიტორიაზე დასახლება. 60-80%-ით არის გაზრდილი არაბეთიდან და აზიის სხვადასხვა ქვეყნიდან შემომსვლელ ადამიანთა რიცხვი, რომელთა უმრავლესობა საქართველოს ტერიტორიაზე რჩება საცხოვრებლად. თუ ასე გაგრძელდა, უახლოეს 10 წელიწადში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა ეროვნული უმცირესობა გახდება.

***– ანუ?***

– ანუ მათი რაოდენობა ჩამოვა 50%-ზე დაბლა. ეს არის სრული დემოგრაფიული და სახელმწიფო კატასტროფა. ჭირსაც წაუღია კურორტები, რესტორნები, ბარები, სხვა გასართობი დაწესებულებები და საერთოდ ყველაფერი, თუკი საქართველოში ქართველი არ იარსებებს.

***– ქართული მარშის აქტიურობას ყოველთვის მოსდევს უარყოფითი შეფასებები – სიძულვილის ენით საუბრობენო. რამდენად შეძლებენ თქვენი ჯგუფები, რომლებიც პატრულირებისთვის გავლენ ქუჩაში, რომ კანონის ჩარჩოებში მოექცნენ? ისე ხომ არ მოხდება, რომ თქვენ შეგექმნათ პრობლემები სამართალდამცავებთან?***

– არაფერი არ მოხდება. ყველაფერი იქნება კანონიერების ფარგლებში და პოლიტიკური სპეკულაციები ამასთან დაკავშირებით არის სრული უაზრობა და სისულელე. ამიტომ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება არ ღირს, ყველა დაინახავს, რომ ყველაფერი იქნება კანონის ფარგლებში მოქცეული და მიმართული ეროვნული,



ქართული ინტერესებისთვის.

***– რამდენად ემზადებით პოლიტიკაში მოსასვლელად? მოვისმინეთ შეფასებები, რომ შესაძლოა ქართული მარში პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნას. ასეა?***

– მე პოლიტიკიდან არასოდეს წავსულვარ და არც ვაპირებ წასვლას. ორგანიზაცია როგორ გადაკეთდება, არჩევნებამდე საკმაოდ დიდი დროა და, აქედან გამომდინარე, წინასწარ პროგნოზები შეუძლებელია. თუმცა ამ ეტაპზე ერთი რამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მარში რჩება სახალხო-საზოგადოებრივ ორგანიზაციად, რომელიც აგრძელებს ბრძოლას ეროვნული ფასეულობებისა და ეროვნული ღირებულებების დასაცავად.

***– საპრეზიდენტო არჩევნებზე თუ გეყოლებათ თქვენი კანდიდატი?***

– არა მგონია, საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩვენი კანდიდატი გვყავდეს. ამაზე მსჯელობა ჯერ არც ყოფილა, მაგრამ ეს ჩემი მოსაზრებაა, რომ ისეთ საარჩევნო პირობებში, როგორიც დღეს არსებობს და ასეთი უუფლებო პრეზიდენტის პირობებში საპრეზიდენტო კანდიდატი ვინ იქნება, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

***– ანუ ემზადებით 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის?***

– ჩვენ ვემზადებით და ყოველდღიურად ვიბრძვით ქართული ეროვნული ღირებულებებისა და ფასეულობების გადასარჩენად. ჩვენი თვითმიზანი ნამდვილად არ არის არც პარლამენტში და არც მთავრობაში მოსვლა. ჩვენი მთავარი მიზანია, მნიშვნელოვანი საკითხები ეტაპობრივად გადავწყვიტოთ.

ჩვენ მომავალი კვირიდან შევალთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოთხოვნით, რათა რამდენიმე საკითხზე დაინიშნოს რეფერენდუმი.

***– კონკრეტულად რა საკითხებზე?***

– პირველია პირადობის მოწმობებში ეროვნულობის გრაფის აღდგენა, ხოლო მეორე საკითხია მინიმალური საბანკო პროცენტის დაწესება, რადგან საბანკო პროცენტი არის ძალიან დიდი და არ შეიძლება, ასე იყოს. კიდევ არის რამდენიმე საკითხი, რომლებიც აუცილებლად გადასაწყვეტია და ერთ-ერთი საკითხი იქნება, უნგრეთის და ავსტრიის მსგავსად, მიღებულ იქნეს კანონი, რომლის მიხედვითაც არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ფინანსდებიან უცხოეთიდან, აეკრძალოთ საქართველოს ტერიტორიაზე მოღვაწეობა. ეს არ ეხება საქველმოქმედო, სამედიცინო და სპორტულ ორგანიზაციებს.

***– ვის ეხება?***

– ეს ეხება იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებასა და საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ.

***– ძალიან ბევრია ასეთი ორგანიზაცია და ალბათ სერიოზული ჭიდილი მოგიწევთ მათთან, რადგან საკმაოდ გავლენიანებიც არიან. რამდენად გაქვთ იმედი, რომ აქედან რამე გამოვა?***

– უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ეს შეძლო. ავსტრიის ხელისუფლებამ შეძლო და მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ჩვენ შევძლებთ ამის განხორციელებას. ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს. როდესაც უცხო ქვეყნიდან მოედინება ფინანსები რომელიმე ორგანიზაციაში, ეს ორგანიზაციები ძალაუნებურად ხდებიან იმ ქვეყნის ინტერესების გამომხატველნი, რომლებიც მათ ფულს უხდიან! ამიტომ აუცილებელია ამ კანონის მიღება, რათა ქართული პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი სივრცე უცხოური აგენტურისგან გაიწმინდოს.

***– საპროტესტო აქციები დაიწყეთ. პირველ რიგში ვინ არის თქვენი სამიზნე?***

– ჩვენი სამიზნეა ყველა ანტიქართული ძალა, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობენ და რომელთა მიზანია, საქართველომ იარსებოს ქართველების გარეშე. ჩვენი მიზანი კი ის არის, რომ საქართველო იყოს ქართველებისთვის! ჩვენი ბრძოლა უკომპრომისოა და აუცილებლად ჩვენი გამარჯვებით დაგვირგვინდება!

# „რუსთავი 2“-სა და „იმედს“ სარეკლამო ბაზრის 81% უკავიათ

– 2012-2017 წლების მონაცემებით, სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლები მზარდია.

ამის შესახებ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშშია ნათქვამი.

ანგარიშის მიხედვით, 2017 წლის, ბოლო მონაცემის შესაბამისად, საქართველოში სულ 98 არხი მაუწყებლობს, აქედან 21 ეროვნული ღია საეთერო სატელევიზიო მაუწყებელია.

2012 წლიდან დღემდე ამ სფეროში პოზიტიური დინამიკა ფიქსირდება და მედია კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა, კერძოდ, მაუწყებლების რაოდენობა 54-დან 98-მდე არის გაზრდილი, ხოლო ეროვნული ღია საეთერო მაუწყებლების რაოდენობა (საზოგადოებრივი მაუწყებლის ჩათვლით) 2012 წლიდან დღემდე 4-დან 21-მდეა გაზრდილი.

კერძო ტელემაუწყებლების მიერ კომისიაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მათი შემოსავლის ძირითად წყაროს სარეკლამო, სასპონსორო, პროდუქტის განთავსებისა და ტელეშოპინგის შემოსავლები წარმოადგენს. აღნიშნული შემოსავლების მიხედვით უნდა გამოიყოს ორი ყველაზე დიდი მედიაჰოლდინგი შპს „ტელეიმედი“ („ტელეკომპანია იმედი“, „GDS“, და „მაესტრო“) და შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ („რუსთავი 2“, „კომედი“, „მარაო“), რომლებსაც ჯამში საქართველოს სარეკლამო ბაზრის 81% უკავიათ.

2017 წელს აღნიშნულმა ორმა მედიაჰოლდინგმა არსებითად შეცვალა სარეკლამო დროის გაყიდვების სისტემა, კერძოდ, საკუთარ არხებზე სარეკლამო დროის ექსკლუზიური გაყიდვის უფლება შპს „ინტერმედიას“ გადასცეს. აღნიშნულმა გარიგებამ სარეკლამო ბაზარზე სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების გადანაწილების მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია.

2012-2017 წლების სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების ანალიზის მიხედვით, სარეკლამო სააგენტოები რეკლამის დამკვეთისგან რეკლამის განთავსებისათვის გადახდილი თანხის 27% იტოვებდნენ, ხოლო ზოგ შემთხვევაში ეს თანხა 33%-ს აღწევდა.

– ამ და სხვა კომპანიებიდან რეკლამაში გადახდილი თანხების შესწავლამ ცხადი გახადა, რომ მთლიანი სარეკლამო შემოსავლები ტელეკომპანიებამდე არ მისულა, შესაბამისად ეს თანხა მათ შემოსავლებში არ აისახა. აღსანიშნავია, რომ 2017 წლამდე სარეკლამო სააგენტოების მომსახურების განაკვეთი 5-7 % პროცენტამდე მერყეობდა. ხოლო იმ სტრუქტურით რომელიც 2017 წელს შეიქმნა, გარდა აღნიშნული 7%-ისა, დამატებით სარეკლამო ბაზრის მთლიანი შემოსავლების არაკლებ 20% ტელეკომპანიების მიღმა დარჩა.

შესაბამისად, შემცირებულია არა სარეკლამო ბაზარი, არამედ ტელევიზიებში შესული თანხები. 2017 წელს, აღნიშნულ ორ მედია ჰოლდინგს იგივე პრინციპით რომ გაეყიდა რეკლამა როგორც ამას 2016 წელს აკეთებდნენ, ნაცვლად მიღებული 60, 127, 900 მილიონი ლარისა 2017 წელს ისინი 75,159,875 მილიონ ლარს მიიღებდნენ. 15,031,975 მილიონი ლარი, რომელიც უნდა მიეღოთ ტელევიზიებს, მაგრამ ვერ მიიღეს და დარჩა ტელევიზიებს მიღმა, სწორედ იმ ახალი გაყიდვების სტრუქტურით არის გამოწვეული, რაც კომპანიებმა 2017 წელს შექმნეს.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან აღნიშნული სისტემით რეკლამის გაყიდვაზე, თავადვე თქვეს უარი და დღეს იგივე სისტემა აღარ მოქმედებს, – აღნიშნულია ანგარიშში.

2017 წელს იმ კერძო ტელეკომპანიების საერთო სარეკლამო შემოსავლები (სარეკლამო, სასპონსორო, პროდუქტის განთავსებისა და ტელეშოპინგი), რომლებსაც საკუთარი სარეკლამო დროის გაყიდვის უფლება არ ჰქონდათ გადაცემული ექსკლუზიურად შპს „ინტერმედიასთვის“ მათი ჯამური შემოსავლები მნიშვნელოვნად, კერძოდ კი 23% -ით გაიზარდა.

შემოსავლების განაწილების სტრუქტურის ცვლილებას სარეკლამო ბაზარზე ადგილი ჰქონდა 2015 წლის მეოთხე კვარტალშიც, თუმცა სხვა მიზეზით. ამას ტელეკომპანიების 2014-2015 წლების შემოსავლებისა და შეწონილი სარეიტინგო პუნქტების კვარტალურ ჭრილში ჩატარებული შედარებითი ანალიზი აჩვენებს . კერძოდ, 2015 წლის პირველი სამი კვარტლის შემოსავლები (კომერციული რეკლამიდან და სპონსორობიდან) 2014 წლის ანალოგიური მაჩვენებლის ტოლია, ხოლო 2015 წლის მეოთხე კვარტლის შემოსავლები 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 34%-ით მცირდება.

2015 წლის მეოთხე კვარტლის სარეკლამო შემოსავლებში „ტელეიმედის“ მონაცემებში კლება არ შეინიშნება. ხოლო ტელეკომპანია „რუსთავი 2“– ის 2015 წლის მეოთხე კვარტლის შემოსავალი 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 55%-ით, მაშინ, როდესაც პირველი სამი კვარტალი გაზრდილია 3%-ით. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ „რუსთავი 2“-ის სამი კვარტლის მონაცემებსა და სხვა სატელევიზიო არხების შემოსავლების ტრენდის დინამიკაში ცვლილება არ მომხდარა, 2015 წლის მეოთხე კვარტალში კომპანია რუსთავი 2-ს სულ მცირე 10 მილიონი ლარით მეტი შემოსავალი უნდა მიეღო.

2012 წლიდან 2017 წლამდე სარეკლამო შემოსავლები გაიზარდა. 2012 წლის ტელეკომპანიების შემოსავლები 63,355,996 ლარიდან 2017 წლის ჩათვლით 25,658,525 ლარით გაიზარდა და 89,014,521 ლარი შეადგინა.

# ნიკა გვარამია: „ბექაურს სარეკლამო ბაზარზე პირადი ინტერესები აქვს“

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის განცხადებას, რომლის თანახმადაც, 2012-17 წლებში რეკლამიდან მიღებული შემოსავლები მზარდია, მწვავე გამოხმაურება მოჰყვა კერძო მაუწყებლების წარმომადგენლების მხრიდან. მათი განცხადებით, ის ციფრები, რომლებიც კახა ბექაურმა წარადგინა, სიცრუეა.

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას განცხადებით, კახა ბექაურს სარეკლამო ბაზარზე საკუთარი ინტერესები აქვს. მისი თქმით, დღეს ყველასთვის ცნობილია, რომ სარეკლამო ბაზარი დანგრევის პირასაა.

– დანგრეულია ის ბაზარი მიზანმიმართულად, ბატონი ბექაურის იდეების გაზიარებით და, პირველ რიგში, ეს არის სარეკლამო რეგულაციები, რომელიც სწორედ მისი ინიციატივა იყო, ამიტომ ბატონმა ბექაურმა არა მხოლოდ პოლიტიკური და თანამდებობრივი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს, ჩემი აზრით, ის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სფეროშიც გადასულია, იმიტომ რომ აქვს პირადი ინტერესები, ჩვენი ინფორმაციით, სარეკლამო ბაზარზე.

ყველამ იცის მედიაში, არა მხოლოდ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა, არა მხოლოდ ტელეკომპანია „იმედმა“, არა მხოლოდ მსხვილმა ტელეკომპანიებმა, არამედ წვრილმა ტელეკომპანიებმაც, რომ ბაზარი არის დანგრევის პირას. რა სისულელეებიც არ უნდა ილაპარაკოს ამ მხრივ საკმაოდ გამორჩეულმა ბატონმა ბექაურმა, ეს არის ფაქტი. ის, რომ სარეკლამო სააგენტოების წილი სადღაც არის გათვალისწინებული, სადღაც არ არის, ეს არის ის, რაც ყოველწლიურად სარეკლამო ბაზარს თან ერთვის, თან პრაქტიკულად უცვლელი მარჟით და ეს არავითარ ცვლილებებს არ იწვევს სარეკლამო ბაზრის მიმართულებით, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

განცხადება გააკეთა ტელეკომპანია „კავკასიის“ გენერალური დირექტორმა ნინო ჯანგირაშვილმაც, რომელმაც თქვა, რომ კახა ბექაურის მიერ მოყვანილი ციფრები არა მატებას, არამედ სარეკლამო ბაზრის კლებას ადასტურებს.

– ბექაური გვეუბნება, რომ ციფრებს კი ნუ დაუჯერებთ, დაუჯერეთ ჩემს რაღაც წარმოსახვებს და ამის შედეგად უნდა თქვათ თქვენ, რომ ბაზარმა მოიმატა, რაც აბსურდია. მან მოატყუა პარლამენტის თავმჯდომარე და სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა, როცა ის ამტკიცებდა, რომ სარეკლამო ბაზარი იზრდება, – აცხადებს ჯანგირაშვილი.

კომენტარი გააკეთა ტელეკომპანია „იბერიის“ სარეკლამო სამსახურის წარმომადგენელმა ანი მეტრეველმა.

– კომპანია „იბერია“ სულდგმულობს, ასე ვთქვათ, ერთადერთი ძირითადი დამკვეთით. ეს არის „ომეგა ჯგუფი,“ – აღნიშნა მეტრეველმა.

# ახლო აღმოსავლეთის ახლებურ გადანაწილებაში ექსპერტებმა კავკასია მოაქციეს

მარიამ მჭედლიშვილი

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მრავალმხრივ ბრძოლებში ბევრი მოთამაშეა ჩართული. ექსპერტები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ იწყება ახლო აღმოსავლეთის ახლებური გადანაწილება. ამ პროცესმა სამხრეთი კავკასიაც უნდა მოიცვას. აზერბაიჯანი, რომელიც, ტრადიციულად, თურქეთის მოკავშირე და მონათესავეა, ამ შემთხვევაში სახელდება ირანის პარტნიორად რელიგიის გამო. სირია ამ გადანაწილებაში მთავარ პლაცდარმად ითვლება.

ექსპერტების განმარტებით, ახლო აღმოსავლეთი არ იყოფა ეროვნულ სახელმწიფოებად. აქაურებს აღიქვამენ პირველ რიგში შიიტებად, სუნიტებად, ქურთებად, სპარსელებად და თურქებად და მხოლოდ ამის შემდეგ ახსენებენ მათ მოქალაქეობას. რეგიონის ახალი დაყოფა ამ პრინციპს დაეფუძნება.

ვითარება სირიაში რთულდება და იცვლება. ამერიკელი და აზიელი ანალიტიკოსები მიუთითებენ, რომ აშშ თმობს პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში. ვაშინგტონის ბოლო ფიგურა სირიის საჭადრაკო დაფაზე უნდა ყოფილიყო უსაფრთხოების სასაზღვრო ძალები. ისინი უპირატესად ქურთებს უნდა დაეკომპლექტებინათ. ამის საპასუხოდ თურქეთი შევიდა სირიის ჩრდილოეთში და ომი გამოუცხადა ქურთების ფორმირებებს. ცოტა ხანში გამოაშკარავდა, რომ ამერიკამ თავისი მოკავშირე ქურთები მიატოვა. ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ქურთები იძულებული გახდნენ, დახმარებისთვის რუსეთისთვის მიემართათ. ამას მოჰყვა სირიის სამთავრობო ჯარის ჩართვა თურქეთის მიერ დაწყებული სამხედრო ოპერაციის წინააღმდეგ.

გერმანელი ექსპერტი ალფრედ ჰაკენბერგერი არ გამორიცხავს, რომ მოსკოვის ძალისხმევით შეიქმნას სირიელებისა და ქურთების სამხედრო კავშირი. თუ ეს მოხდა, კრემლი გააფართოებს თავის კონტროლს სირიაზე.

ქურთი მებრძოლები ამერიკელმა და გერმანელმა ინსტრუქტორებმა გაწვრთნეს. მათ დიდი წვლილი მიუძღვით ტერორისტების, ასევე სუნიტი რადიკალების წინააღმდეგ ბრძოლაში. სუნიტი რადიკალები სირიაში სხვადასხვა ქვეყნიდან შევიდნენ და მიემხრნენ ტერორისტებს.



ექსპერტები რეგიონში მსხვილ მოთამაშედ ისევ ასახელებენ ისრაელს. პრემიერმა ნეთანიაჰუმ თეირანი საჯაროდ დაადანაშაულა ახლო აღმოსავლეთში სტატუსკვოს შეცვლის მცდელობაში და ამისთვის სირია პლაცდარმად გამოიყენა.

ისრაელის პრემიერის თქმით, ირანის აგრესიას პოზიტიური ფაქტორიც ახლავს. ამან დააახლოვა ებრაელები და არაბები. მან არ გამორიცხა, რომ ებრაელებსა და პალესტინელებს შორის ამ გზით შესაძლებელი გახდება მშვიდობის მიღწევა.

თუ ადრე ისრაელი მალავდა თავის კავშირებს ზოგიერთ არაბულ სახელმწიფოსთან, მაგალითად, საუდის არაბეთთან, ახლა ეს კონტაქტები სააშკარაოზე გამოვიდა.

რეგიონში ჰეგემონიისკენ სწრაფვას უარყოფს ირანი. ქვეყნის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისთვის აუცილებელია სახელმწიფოების ერთობლივი ძალისხმევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ ქაოსი დაიწყება.

ამერიკელი ექსპერტების ნაწილი ორიოდე თვის წინ თეთრ სახლს ახლო აღმოსავლეთში პასიურობის გამო საყვედურობდა, ნაწილი ურჩევდა, არ ჩარეულიყო სირიაში მიმდინარე პროცესებში, ვინაიდან სირიიდან აშშ-ს საფრთხე არ ემუქრება, ხოლო ტერორისტებთან ბრძოლა რეგიონული სახელმწიფოების საქმეა.

საბოლოოდ, ვაშინგტონმა სირიაში გადაწყვიტა უსაფრთხოების 30-კაციანი სასაზღვრო ძალების შექმნა ქურთების მონაწილეობით. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამ გეგმის ჩაშლით აშშ ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან, ფაქტობრივად, გავიდა.

აშშ და რუსეთი ტოვებენ თავიანთი შენაერთების ნაწილს სირიაში. ერაყში გადაწყვეტილია ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების ყოფნა.

ქურთული სახელმწიფოს იდეაც ჰაერშია გამოკიდებული. ერაყის ქურთული ადმინისტრაციის პარტიები მონაწილეობენ მაისში დაგეგმილ ერაყის პარლამენტის არჩევნებში. ქურთულმა დემოკრატიულმა პარტიამ ამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. ექსპერტების თქმით, ქურთებს ამ არჩევნებში წარმატების იმედი მხოლოდ დათმობების შემთხვევაში უნდა ჰქონდეთ.

# ფადი ასლი: „ომეგა ჯგუფი უსამართლოდ ესხმის თავს მთავრობას და უპასუხისმგებლოდ იქცევა“

საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ფადი ასლიმ და აშშ-ის სავაჭრო პალატის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა მაიკლ ქოუგილმა ერთობლივი ბრიფინგი გამართეს. მათ ომეგა ჯგუფის მიერ მთავრობის მიმართ გამოთქმული ბრალდებები შეაფასეს. ფადი ასლის განცხადებით, ომეგა წარსულში British-American Tobacco-სგან 270 მილიონი ლარის თაღლითურად მითვისებას ცდილობდა, მას შემდეგ კი რაც სააპელაციო სასამართლომ მათ საწინააღმდეგოდ მიიღო გადაწყვეტილება, ხოლო უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული დავის განხილვაზე უარი თქვა, ომეგა მთავრობის მიმართ უპასუხისმგებლო და ცილისმწამებლურ განცხადებებზე გადავიდა.

„ომეგა“ ამტკიცებს, რომ საქართველოს მთავრობა იყო ჩართული მათთვის 270 მილიონი ლარის ჩამორთმევაში, რომლის თაღლითური გზით მიღებაც მათ British-American Tobacco-სგან უნდოდათ, და ამან გამოიწვია ფინანსური პრობლემები, რადგან მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამ ფულით დავალიანებებს და ფინანსურ ვალდებულებებს დაფარავდნენ. ახლა კი სასამართლომ მათ ამ ფულის მიღებაზე უარი უთხრა, რადგან სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, კორუმპირებული ვლადიმერ კაკაბაძის გადაწყვეტილება გააუქმა და ეს დაადასტურა უზენაესმა სასამართლომაც.



ისინი აცხადებენ, რომ მთავრობა ამაზე პასუხისმგებელია, რაც არის აბსოლუტურად სასაცილო ბრალდება. ეს ამბავი ჰგავს გაკოტრებული პირის ისტორიას, რომელიც ბანკის გასაძარცვად წავა, პოლიცია მას გააჩერებს, ის კი პოლიციას თავის ფინანსურ პრობლემებში დაადანაშაულებს, რადგან მას ბანკის გაძარცვის საშუალება არ მისცეს. ასეთია დღეს ომეგასა და British-American Tobacco-ს საქმე. ჩვენ გვჯერა, რომ ომეგა ჯგუფი უსამართლოდ ესხმის თავს მთავრობას და იქცევა არაპროფესიონალურად, ამას არავინ დაიჯერებს, ისინი თავს სასაცილოდ იხდიან. არ ვიცი რა ხდება ტელეკომპანია იბერიასთან დაკავშირებით, იბერიაც ომეგა ჯგუფის ნაწილია. არ ვფიქრობ, რომ მხოლოდ იბერიაა პრობლემა.

ვფიქრობ, მთელ ჯგუფს აქვს ფინანსური პრობლემები. მიმაჩნია, რომ იბერიაზე საუბრის მცდელობა და იმის თქმა, რომ ეს არის სიტყვის თავისუფლებაზე თავდასხმა, არ არის პროფესიონალური, – განაცხადა ფადი ასლიმ.

„ომეგა“ British-American Tobacco-ს სიგარეტის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად გაყიდვასა და შესაბამისად, არაჯანსაღ კონკურენციაში ადანაშაულებდა. ამ მოტივით ომეგა 100 მილიონი დოლარის ზარალის ანაზღაურებას ითხოვდა. ეს მოთხოვნა ომეგას პირველი ინსტანციის სასამართლომ შეუსრულა. თუმცა მნიშვნელოვანია გარემოება, რომ კანონმდებლობა, რომელზეც აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღეს არ არსებობს. კანონის მიხედვით, აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია უფასოდ ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად. ამასთან, კანონის თანახმად, მის შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის დარღვევისას, მხოლოდ სახელმწიფოა უფლებამოსილი გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ჯარიმა თამბაქოს მწარმოებლის მიმართ. შესაბამისად ასეთი დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დამრღვევმა ჯარიმა სახელმწიფოს უნდა გადაუხადოს და არა სხვა კერძო კომპანიას.

ამ გადაწყვეტილების გამო მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძეს სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ კორუმპირებული უწოდა. საქმეში კორუფციის ნიშნების არსებობის შესახებ მაშინ სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად მიუთითებდა. სააპელაციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება გააუქმა.

„ომეგა ჯგუფის“ წევრმა კომპანიამ ტვ იბერიამ 20 თებერვალს გაავრცელა განცხადება, რომ სახელმწიფო ტელეკომპანიის წინააღმდეგ მიზანმიმართულ კამპანიას აწარმოებს, რომ ომეგა ჯგუფს ფინანსური პრობლემები მთავრობამ სწორედ იმიტომ შეუქმნა, რომ იბერიას სარედაქციო პოლიტიკაზე მოეხდინა გავლენა.

„ომეგა ჯგუფი“ 1991 წელს ზაზა ოქუაშვილმა დააფუძნა. ოქუაშვილი საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი მოქალაქეა, ის ახლა აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრია პატრიოტთა ალიანსის სიიდან. მისი მეუღლეც ამავე პარტიის წევრი და დეპუტატი ნატო ჩხეიძეა.

„ომეგა ჯგუფში“ შედის: „ომეგა მოტორსი“, რომელიც დღეს საქართველოში BMW-სა და Bentley-ის, Opel-ის, Chevrolet-ის, Maserati-ს, Iveco-სა და Mini-ს ოფიციალური დილერია.

„ომეგაში“ ცენტრალური ადგილი უჭირავს თამბაქოს ბიზნესს, მის შემადგენლობაში შედის სიგარეტის საწარმო „ოჯთ“ ასევე, თამბაქოს დისტრიბუტორი კომპანია „ომეგა 2“.

ოქუაშვილმა 2000 წელს დააფუძნა ტელეკომპანია „იბერია“, ამავე წელს დააფუძნა გაზეთი „ახალი ეპოქა“.

ოქუაშვილი 1999-2003 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრიც იყო, მაშინ მილიონერი დეპუტატი საკანონმდებლო ორგანოში არა მოქალაქეთა კავშირის, არამედ აღორძინების სიით შევიდა.

# „მთავრობა პრობლემის მიჩქმალვას ფორმალური ინიციატივებით ცდილობს

– სახელმწიფოს მხრიდან გაჟღერებული ექვსი ინიციატივიდან მხოლოდ ორია ქმედითი, დანარჩენი სრულად ან ნაწილობრივ მაინც ფორმალურია. ეს იმიტომ ხდება, რომ ქვეყანაში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემები დაჩრდილონ და მოსახლეობამ ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს. მუდმივად ახალ-ახალი ინიციატივები ჟღერდება და აქედან სერიოზული მხოლოდ რამდენიმეა, – ასე შეაფასა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მამუკა ბახტაძის მიერ გაჟღერებული ექვსი ინიციატივა „თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის“ დირექტორმა ვახტანგ ჭარაიამ.

მისი თქმით, დღეს ქვეყანაში არსებობს ოლიგოპოლიური გაერთიანებები, რომლებსაც პრობლემა არასდროს შექმნიათ. საქმე ეხება საბანკო სექტორსა და სხვა მსხვილ ბიზნესს, მათ გამო ბაზარზე კონკურენტული გარემო ვერ იქმნება და მოსახლეობაც ზარალდება. როგორც ვახტანგ ჭარაიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მთავრობის მხრიდან მსგავსი ქმედებით ჩნდება ეჭვი, რომ ბიზნესი ახდენს გავლენას მთავრობაზე, ან, პირიქით, მთავრობა ხუჭავს თვალს ბიზნესის მსგავს საქმიანობაზე.

– ვფიქრობ, გაცილებით სერიოზული პორბლემაა და რეალურად მოსაგვარებელია ის ვითარება, რაც ხდება საბანკო სექტორში, ნავთობიმპორტიორების, ფარმაცევტულ, ინტერნეტ ან კომუნიკაციების ბაზარზე. ამის ფონზე არასერიოზულად მიმაჩნია მთავრობის ახალი ინიციატივა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის პირადი გამოყენებისთვის იმპორტირებული ავტომობილების გათავისუფლება სააქციზო გადასახადიდან. წელიწადში ასეთი მანქანა რამდენიმე ათეული შეიძლება იყოს. ეს კარგია უშუალოდ შშმ პირთათვის, თუმცა რეალური ეკონომიური სარგებელი აქედან არის ნული, – აღნიშნა ჭარაიამ.



რაც შეეხება ქმედით ინიციატივებს, „თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის“ დირექტორის შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი და არაფორმალურია ცვლილება იმის შესახებ, რომ აღარ მოხდება ავანსის დღგ-თი დაბეგვრა და მეორე ის, რომ საფინანსო სექტორისთვის მოგების გადასახადის რეფორმამ 2023 წლამდე გადაიწია. ჭარაია ნაწილობრივ პოზიტიურად აფასებს, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების გაწევის გათავისუფლებას დღგ-სგან.

– მხოლოდ ორი ინიციატივაა ნამდვილად ქმედითი, ერთიც – ნაწილობრივ. ვგულისხმობ საჰაერო ხომალდებს. ამ შემთხვევაში ერთადერთი, რაც პოზიტიური მოხდება, არის ფრენაზე ტარიფების შემცირება, რადგან ავიაკომპანიებს შეღავათები დაუწესდებათ.

საქართველოს ჰაბად გადაქცევა არ მიმაჩნია რეალობად, რადგან არცერთი დღეს არსებული კომპანია თბილისის საერთაშორისო აეროპორტს არ განიხილავს, როგორც ჰაბს. დანარჩენი ინიციატივა კი, როგორც უკვე აღვნიშნე, ნაწილობრივ პოზიტიურია. ფორმალურზე ფორმალურია იგივე მანქანების რეექსპორტის შემთხვევაში აქციზის გადასახადის ანაზღაურება.

საქმე ის არის, რომ ეს ისედაც ასე ხდებოდა. ანუ პირები, ვისაც მესამე ქვეყანაში გადაჰყავდათ ავტომობილები, როგორც წესი, გადასახადს არ იხდიდნენ, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე დროებითი სანომრე ნიშნებით განბაჟების ვადის ამოწურვამდე გადაადგილდებოდნენ. მსგავსი ინიციატივები, უბრალოდ, ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს ჩქმალავს და მეტი არაფერი, – განმარტავს ვახტანგ ჭარაია.

# თბილისის გენგეგმაში ძირეული ცვლილებები არ იქნება

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ძირეული ცვლილებები არ იქნება.



ამის შესახებ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის, „სითი ინსტიტუტ საქართველოს“ დირექტორმა მამუკა სალუქვაძემ განაცხადა.

სალუქვაძის განმარტებით, ძირეული შენიშვნები დედაქალაქის მერიას არ ჰქონია, ამიტომ გენგეგმაში ძირეული ცვლილებებიც არ იქნება.

– შენიშვნა თუ არ იწვევს ძირეულ ცვლილებას, ბუნებრივია, ეს არც იქნება. იქ იყო რიგი საკითხების დაზუსტებები, დაკონკრეტება და განმარტება, რაზეც სამსახურებთან ვმუშაობთ და იქნება გათვალისწინებული. რაც შეეხება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და ადგილობრივი ექსპერტების მოსაზრებებს, რომლებიც გენგეგმის შეფასების ეტაპზე ჩაერთნენ პროცესში, ჯერჯერობით მათი პოზიცია არ ვიცით.

მთავარია, საფუძვლიანად მოხდეს იმ დოკუმენტის გაცნობა, რომელიც საკმაოდ მასშტაბურია. ექსპერტიზას ვერავინ ჩაატარებს, თუ მხოლოდ ერთი ტომი ან ტომ-ნახევარი წაიკითხა. დეტალურად გაცნობაა საჭირო და მხოლოდ ამის შემდეგ გვეცოდინება, ალბათ, მათი პოზიცია, – განაცხადა სალუქვაძემ.

რაც შეეხება კონკრეტულ შენიშვნებს, რაც გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფის მიმართ თბილისის მერიას ჰქონდა, სალუქვაძე აცხადებს, რომ საკითხების ნაწილზე შეთანხმება მოხდა, ნაწილი კი უბრალოდ დაზუსტდა.

– მაგალითად, გენგეგმაში არ იყო ქუჩების მოწესრიგების საკითხი, რაც არასწორად გაიგეს. წაიკითხავენ ქუჩათა ქსელს, ჰქონიათ, რომ ქუჩების მოწესრიგებაა. აქ ლაპარაკი იყო ქუჩათა ქსელის იერარქიაზე და კატეგორიზაციაზე. ჩვენ წარვუდგინეთ როგორც ევროპული, ასევე არსებული სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისი, მათ თქვეს ევროპული როგორ შეესაბამება იმას, რაც ჩვენთან არის მიღებული და მოქმედიო.

ჩვენი მხრიდან წარდგენილი იყო ორივე, რომელიც ტრანსპორტის სფეროში მოღვაწე საერთაშორისო ექსპერტების მიერ იყო შედგენილი, სწორედ მათ წარმოადგინეს ევროპული გამოცდილება. მაგალითად, წარდგენილი იყო ჩქაროსნული კატეგორიზაცია, საქალაქო და ა.შ. ჩვენ ახლა მივანიშნეთ, თუ როგორ შეესაბამება ევროპულს იმ სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით არსებული მდგომარეობა.

ასევე იყო რკინიგზაზე საუბარი, რაზეც ფაქტობრივად, ერთ სიტყვაზე გვაქვს აზრთა სხვადასხვაობა. ითხოვენ ჩაიწეროს, რომ კვლევები დაადგენს, რა ტვირთები გაივლის იმ დერეფანში, რომელიც ჩვენ შევინარჩუნეთ. არსებული სარკინიგზო ხაზის აღება და შემოვლით გზაზე გადატანა არის არსებულ გენგეგმაში და დამტკიცებულია საკრებულოს მიერ. ეს ითვალისწინებს 10-კილომეტრიანი მონაკვეთის აღებას. ჩვენ პირველ ეტაპზე ვეთანხმებოდით ამას, მაგრამ მოხდა შემდგომ მსჯელობები, თვითონ სამსახურმა ჩათვალა, რომ მერიის მხრიდან არ არის საკმარისი კვლევები ჩატარებული, როცა ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს წინა გენგეგმის მიღების დროს.

მიდის შეხვედრა ამ საკითხთან დაკავშირებით, მიდის კვლევები და შეთანხმებულები ვართ, რომ სარკინიგზო დერეფანი რჩება, რა გაივლის იქ, იქნება ტრამვაი, საქალაქო, სამგზავრო მატარებელი თუ სხვა ელექტროტრანსპორტი, ამას დააკონკრეტებენ თვითონ, როდესაც ჩატარდება დეტალური, ძირეული კვლევები „საქართველოს რკინიგზის“ მიერ.

რაც შეეხება შემოვლით რკინიგზას, ჩვენ ყველა ვარიანტში გვინდა გადავიტანოთ სატვირთო, რადგან სახიფათო, საშიში ტვირთებია. ამაზე ორი აზრი არ არსებობს, სატვირთო აუცილებლად გადადის. საუბარია იმაზე, ახლა რომელ მარშრუტზე გაივლის შემოვლითი რკინიგზა, იმ მარშრუტზე, რომელიც გვაქვს და ბევრი ექსპერტი იწუნებს, თუ სხვა მარშრუტზე იქნება ლაპარაკი. ესეც კვლევებით უნდა დადგინდეს. რაც მთავარია, ჩვენ დავტოვეთ არსებული სარკინიგზო დერეფანი.

რაც შეეხება ზონირების საკითხს, სადაც შეიძლებოდა ჩასწორება, ჩავასწორეთ. გარკვეულ ტერიტორიებთან დაკავშირებით შეიძლება მათი აზრის გათვალისწინება, ზოგან არ შეიძლება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამას წლები სჭირდება და მუდმივად ცვალებადი სიტუაციაა. ამის მართვის საკითხებს არქიტექტურის სამსახური აიღებს თავის თავზე. ძირითადი გადაწყვეტები, რაც გენგეგმაში უნდა იყოს, არის და იქნება, დანარჩენს არქიტექტურის სამსახური მიადევნებს თვალს, – განაცხადა სალუქვაძემ.

რაც შეეხება ჯარიმას, რომელიც დედაქალაქის მერიამ გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფს დააკისრა, როგორც სალუქვაძე აცხადებს, მათ არ გადაუხდიათ. მისივე თქმით, „სითი ინსტიტუტ საქართველომ“ მერიის არქიტექტურის სამსახურს ჯარიმის დასაბუთება მოსთხოვა, რაზეც მათ პასუხი ჯერჯერობით არ მიუღიათ.

გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფს თბილისის მერიამ გარკვეული ჩასწორებებისთვის 45-დღიანი ვადა მისცა, რომელიც რამდენიმე დღეში იწურება. „სითი ინსტიტუტ საქართველოს“ დირექტორის ინფორმაციით, შესწორებული დოკუმენტი მერიას 26 თებერვალს წარედგინება.

## თბილისის მოსახლეობის 5% კრიპტოვალუტას ფლობს




ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა კრიპტოვალუტების თემა. „ეისითი“ დაინტერესდა, სმენია თუ არა თბილისის მოსახლეობას ამ სიახლის შესახებ და თუ ფლობენ რომელიმე ტიპის კრიპტოვალუტას.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ თბილისის მოსახლეობის თითქმის ნახევარს (43%) სმენია კრიპტოვალუტის შესახებ. მათგან ვისაც სმენია, 5% ფლობს რომელიმე ტიპის ციფრულ ვალუტას.

ამასთან, ACT დაინტერესდა, შეუსრულებიათ თუ არა კრიპტოვალუტის საშუალებით რაიმე ტიპის ტრანზაქცია. აღმოჩნდა, რომ თბილისის მოსახლეობის იმ ნაწილიდან, ვისაც სმენია კრიპტოვალუტის შესახებ 3%-ს შეუსრულებია ტრანზაქცია ვაჭრობის მიზნით, 2%-ს გამოუყენებია ვალუტა ონლაინშოპინგის მიზნით, ხოლო 3%-ს შეუსრულებია გადარიცხვის ტრანზაქცია.

კვლევა ჩატარდა თბილისის მასშტაბით, შემთხვევითი შერჩევის გზით 403 ზრდასრულ თბილისის მოსახლეს შორის, 2018 წლის 12 თებერვლიდან 14 თებერვლის პერიოდში. მონაცემთა სტატისტიკური ცდომილება საშუალოდ 3.0%-6.5%-იან შუალედში მერყეობს.

## ვახტანგ სვანაძე: „საპენსიო რეფორმა ბანკების გავლენისაგან დაცლილი საფონდო ბირჟის გარეშე ვერ შედგება“

– რა თქმა უნდა, საპენსიო რეფორმა არის აუცილებელი, ამის გარეშე ქვეყნის განვითარება წარმოუდგენელია, მაგრამ იმისათვის, რომ საპენსიო რეფორმა წარმატებით განხორციელდეს, უნდა არსებობდეს საპენსიო დანაზოგების განთავსებისადმი უპირობო ნდობა. ასეთი უპირობო ნდობის უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ მაღალ ლიკვიდურ ფასიანი ქაღალდების ბაზარს, – განაცხადა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი კომპანიის „კავკასრეესტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვახტანგ სვანაძემ.

როგორც ვახტანგ სვანაძემ კომერსანტთან საუბრისას აღნიშნა, თუ საუბარია საპენსიო რეფორმაზე, მაშინ საუბარი უნდა იყოს მთელ ინფრასტრუქტურაზე.

საპენსიო რეფორმის არსი არის ის, რომ მთელი საპენსიო დანაზოგები მოხვდეს ისეთ სფეროში, რომელიც უზრუნველყოფს სამომავლო ზრდას, გარანტირებულობასა და, საბოლოო ჯამში, ნდობის ფაქტორის მაღლა აწევას.

ნდობის ფაქტორის მაღლა აწევა შეუძლია საპენსიო დანაზოგების მაღალლიკვიდურ ინსტრუმენტში განთავსებას.

ასეთი ლიკვიდურობის უზრუნველყოფა შეუძლია საფონდო ბირჟას, სადაც ფასიანი ქაღალდების კოპირება უნდა მიმდინარეობდეს ღიად და გამჭვირვალედ.

სვანაძის განმარტებით, თუ ქართული საფონდო ბაზარი დარჩება იმ მდგომარეობაში როგორშიც არის, საპენსიო დანაზოგების მესაკუთრეებს ნდობა საპენსიო რეფორმისადმი არ ექნებათ.

პრობლემა შემდეგია: ბანკები დაინტერესებულნი არიან, რომ საფონდო ბაზარი იყოს დაბალლიკვიდური. თუ ის დაბალლიკვიდურია, მაშინ ის ვერ იძლევა გარანტიების ისეთ მაღალ დონეს, რომ ადამიანმა საბანკო დეპოზიტიდან წამოიღოს ფული და ფასიან ქაღალდებში განათავსოს.

სანამ საფონდო ბაზარი ბანკების ხელშია, საფონდო ბაზარი ვერ შეიძენს ლიკვიდურობის ისეთ ხარისხს, რომ საპენსიო რეფორმისათვის აუცილებელი დონეს მიაღწიოს. საფონდო ბაზრის ლიკვიდურობა ბანკების ინტერესებს არ შეესაბამება, განმარტავს სვანაძე.

– ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს დადგენილებით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ კომერციულ ბანკებს. აქედან გამომდინარე, ეს სფერო მონოპოლიზებულია და ის ვერასდროს გახდება მაღალლიკვიდური.

სვანაძის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ საპენსიო რეფორმა საბანკო ინტერესებისაგან თავისუფალ საფონდო ბაზარზე დაიწყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საპენსიო რეფორმა განწირულია წარუმატებლობისათვის, – აცხადებს სვანაძე „კომერსანტთან“ საუბარში.

# 10 ყველაზე სტაბილური ვალუტა მსოფლიოში

ბოლო წლებში დევალვაცია მსოფლიოს მრავალმა ვალუტამ განიცადა, მათ შორის, ქართულმა ლარმაც.

მაგრამ მსოფლიოში ისეთი ვალუტებიც არსებობს, რომლებიც ყველაფრის მიუხედავად, სტაბილურობას ინარჩუნებენ. როგორც ეკონომიკის დოქტორი ირაკლი მაკალათია ამბობს, ნებისმიერი ვალუტის სტაბილურობის საზომი მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული და აღიარებული ვალუტა – აშშ-ის დოლარია. ირაკლი მაკალათია მსოფლიოს 10 ყველაზე მყარი ვალუტის შესახებ გვიამბობს:



**კუვეიტური დინარი**

კუვეიტი პატარა ქვეყანაა, მაგრამ უმდიდრესი რესურსები აქვს. ამ ქვეყნის ეროვნულ ვალუტას მსოფლიოში კუვეიტური დინარის სახელით იცნობენ. 1 კუვეიტური დინარი 3,28 აშშ-ის დოლარი ღირს. ეს ფიქსირებული ვალუტაა და უკვე წლებია, რაც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მყარ ვალუტად ჩამოყალიბდა. კუვეიტური დინარის სტაბილურობას ამ ქვეყნის მდიდარი ეკონომიკა განაპირობებს, ამ ეკონომიკის საფუძველს კი ნავთობის საბადოები წარმოადგენს.

**ბაჰრეინის დინარი**

მსოფლიოს ყველაზე მყარ ვალუტებს შორის ბაჰრეინის დინარიც უნდა დავასახელოთ. ბაჰრეინის სახელმწიფო სპარსეთის ყურეში მდებარეობს. ეს ძალიან პატარა ქვეყანაა, სადაც 1 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. ამ ქვეყნის ეკონომიკაც ნავთობის ექსპორტს ეფუძნება. აღსანიშნავია, რომ ბაჰრეინის ეროვნული ვალუტა 14 წელია, ერთ ნიშნულზე დგას: 1 ბაჰრეინის დინარი უდრის 2,65 აშშ დოლარს.

**ომანის რიალი**

ყველაზე მყარი ვალუტების სიაში მესამე ადგილზე ომანის რიალია: 1 ომანის რიალი უდრის 2,59 აშშ დოლარს. ომანი განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, რაც მისი გეოგრაფიული მდებარეობის დამსახურებაცაა.

ვალუტის სტაბილურობას ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი რესურსები განსაზღვრავს. ეს ქვეყანა მდიდარია ნავთობით, ბუნებრივი აირითა და სპილენძის მადნით.

**იორდანიული დინარი**

დინარი 1950 წლის 1 ივლისიდან გახდა იორდანიის ოფიციალური ვალუტა. ამჟამად, 1 იორდანიული დინარი 1,41 აშშ დოლარი ღირს.

იორდანიული დინარის მაღალი ფასი ეკონომისტებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან იორდანიას ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანას ვერ ვუწოდებთ, ის არც ბუნებრივი რესურსებითაა მდიდარი. სამაგიეროდ, იორდანიაში კარგად არის განვითარებული საბანკო სექტორი.

ქვეყნის ეკონომიკა მეტწილად დამოკიდებულია სასუქების წარმოებაზე, ტურიზმზე, საზღვარგარეთ განხორციელებულ საბანკო გადარიცხვებსა და დახმარებებზე. ქვეყანაში 6 სპეციალური ეკონომიკური ზონა მოქმედებს და თითოეული მათგანი დიდი მასშტაბის ინვესტიციებს იზიდავს.

**ბრიტანული ფუნტი**

დიდი ბრიტანეთი ანუ გაერთიანებული სამეფო მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. ბრიტანელები ოფიციალურ ვალუტად ფუნტ სტერლინგს იყენებენ, რომელსაც მეორენაირად ფუნტს უწოდებენ. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ვალუტაა. ამჟამინდელი მონაცემებით, 1 ბრიტანული ფუნტის ფასი 1,41 ამერიკული დოლარია.

**კაიმანის კუნძულების დოლარი**

კაიმანის კუნძულები გაერთიანებული სამეფოს წევრი ქვეყანაა, სადაც დაახლოებით 61 000 ადამიანი ცხოვრობს. ამჟამად 1 კ.კ. დოლარი უდრის 1,22 აშშ დოლარს. კაიმანის კუნძულებზე შეღავათიანი საგადასახადო სისტემა მოქმედებს. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ გადასახადების მხრივ კაიმანი ნამდვილი სამოთხეა, რადგან იქ საშემოსავლო და მოგების გადასახადები საერთოდ არ არსებობს. კაიმანის კუნძულების მოსახლეობა ძირითადად ტურიზმის სფეროშია დასაქმებული.

**ევროპული ევრო**

ევროკავშირის ოფიციალური ვალუტა გახლავთ ევრო, რომელსაც ეს სახელი 1995 წლის 16 დეკემბერს დაერქვა. ევრო 1999 წლის 1 იანვარს პირველად გამოჩნდა მსოფლიო ბაზარზე. ეს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მსოფლიო ვალუტაა. ამერიკული დოლარის შემდეგ ევრო ყველაზე გავრცელებული ვალუტაა მსოფლიოში, ის არის ოფიციალური ვალუტა ბევრ ევროპულ ქვეყანაში. ევროს ადმინისტრირება ფრანკფურტში მდებარე ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ ხორციელდება. ამჟამად 1 ევროს ღირებულება 1,09 აშშ დოლარია.

**აშშ-ის დოლარი**

აშშ-ის დოლარი ყველაზე პოპულარული და გავრცელებული ვალუტაა მსოფლიოში, რისი საწინდარიც თავად ეს ზესახელმწიფო და მისი მძლავრი ეკონომიკაა. ქვეყანა ძალიან მდიდარია ბუნებრივი და მინერალური რესურსებით.

აშშ-ის დოლარს ანგარიშსწორებისთვის თითქმის ყველა ქვეყანაში იყენებენ, ამასთან, მსოფლიოში გვხვდება ქვეყნები, რომელთა ვალუტებსაც დოლარი ჰქვია. მაგალითად: ავსტრალიური დოლარი; ახალზელანდიური დოლარი; ბარბადოსის დოლარი; აღმოსავლეთ კარიბული დოლარი, ნამიბიური დოლარი და ა.შ...

**შვეიცარიული ფრანკი**

შვეიცარია მსოფლიოს ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანაა, სადაც მაღალ დონეზეა განვითარებული საბანკო სისტემა. გასაკვირი არ არის, რომ შვეიცარიის ვალუტას საპატიო ადგილი უკავია ყველაზე რეიტინგულ ვალუტებს შორის. შვეიცარიული ფრანკი გარდა ამ ქვეყნისა, გადახდის საშუალებად ლიხტენშტეინშიც არის აღიარებული. ცნობილ ვალუტებს შორის ფრანკი ერთადერთია, რომელსაც ვერტიკალური ფორმა აქვს. ბოლო მონაცემებით, 1 შვეიცარიული ფრანკის ღირებულება 0,99 აშშ-ის დოლარია.

**ლიბიური დინარი**

მეათე ადგილზე ლიბიური დინარი უნდა დასახელდეს, რომელიც ბრუნვაში 1971 წელს შევიდა. ამჟამად 1 ლიბ. დინარი უდრის 0,74 აშშ დოლარს. ლიბიის ეროვნულ ვალუტას ქვეყნის ცენტრალური ბანკი უშვებს. ლიბია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნავთობმომპოვებელი ქვეყანაა, რაც მისი ეკონომიკის სიძლიერის გარანტია. სწორედ ეს განსაზღვრავს ლიბიური დინარის მაღალ ფასს მსოფლიოს სხვა ვალუტებთან შედარებით.

# „ჩაწყობილ თამაშებზე“ ბრალდებულებმა თავი დამნაშავედ ცნეს

„ჩაწყობილ თამაშებთან“ დაკავშირებით სასამართლო პროცესი გაიმართა.

ბრალდებულებმა დანაშაული აღიარეს და თავი დამნაშავედ ცნეს.

მოსამართლემ ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმება დააკმაყოფილა, რომლის მიხედვითაც ვაჟა კვარაცხელია, თემურ დათიკაშვილი და ზაზა მაჩალაძე 6-თვიან სასჯელს პენიტენციარულ დაწესებულებაში მოიხდიან, რის შემდეგაც 1-წლიანი პირობითი მსჯავრი დაედებათ.



სამივე ბრალდებულს 5 ათას ლარიანი ჯარიმის გადახდაც დაეკისრება, ხოლო ირაკლი და დავით ბერიშვილები 2-წლიან პირობით მსჯავრს მოიხდიან და 5 ათას ლარიან ჯარიმას გადაიხდიან.

# ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულს თავისუფლება აღუკვეთეს

სასამართლომ ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

– თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული მ.გ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით.




სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 9 დეკემბერს, საღამოს საათებში, ქ.თბილისში, ალმაშენებლის ხეივანში არსებულ სახელოსნოში მ.გ.-მ ყოფილ მეუღლეს ხ.ს.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შედეგადაც დაზარალებულმა ძლიერი ფიზიკური ტკივილი განიცადა.

სამართალდამცველებმა მ.გ. 2017 წლის 10 დეკემბერს ქ. თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახში ძალადობა, ესე იგი ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# თბილისში ქალს მანქანა დაეჯახა

თბილისში მსუბუქი ავტომობილი ქვეითად მოსიარულე ქალს დაეჯახა. შემთხვევა დიღომში მოხდა. დაშავებული სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.




მძღოლი ადგილიდან არ მიმალულა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს.

# ანა ნაცვლიშვილის მკვლელობისთვის 1997 წელს დაბადებული გ.ლ. დააკავეს

## გოგონას ბოლოს მისმა მეგობარმა ბიჭმა დაურეკა – თემქის სისხლიანი ტრაგედიის დეტალები



**გუშინ, 22 თებერვალს, თემქის ერთ-ერთ სკვერში შემთხვევითმა გამვლელმა ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვა. გოგონას ცივი იარაღით მიყენებული მრავლობითი ჭრილობები აღენიშნებოდა. მოკლული 20 წლის ანა ნაცვლიშვილი აღმოჩნდა.**

მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ გოგონას მობილურ ტელეფონზე დაურეკეს, სახლიდან ხალათით გამოიყვანეს, ავტომობილში ჩასვეს და მკვლელობის ადგილზე მიიყვანეს.

მთელი დღის განმავლობაში თემქის პოლიციაში სხვადასხვა ადამიანის დაკითხვა მიმდინარეობდა.

დაკითხეს გოგონას მშობლები, ასევე ანა ნაცვლიშვილის მეგობარი გოგონა, რომელმაც კომენტარი არ გააკეთა.




პოლიციელებმა დაკითხვაზე მოკლულის შეყვარებული და მისი ორი მეგობარი მიიყვანეს.

პოლიციამ ნაცვლიშვილის ტელეფონზე შესული ზარები და მესიჯები გაშიფრა და აღმოჩნდა, რომ გოგონას ბოლოს სწორედ მისმა მეგობარმა ბიჭმა დაურეკა.

ანა ნაცვლიშვილის ოჯახის ახლობელმა ჟურნალისტებთან თქვა, რომ გოგონას შეყვარებულთან კონფლიქტი ჰქონდა, თუმცა ბოლო დროს ურთიერთობა დაალაგეს.

– უნივერსიტეტში არ მიდიოდა, რადგან დასვენებაა, შესაბამისად, უცნობია, რატომ გავიდა ხალათით დილით სახლიდან. ალბათ პოლიცია იპოვის, ტელეფონში ვის სწერდა და ვინ დაიბარა. შეყვარებულთან კონფლიქტი ყველას აქვს, რაღაც სისულელეებზე ჩხუბობდნენ, მაგრამ სასიკვდილოდ გამეტება მეეჭვება, – აცხადებს გოგონას მეზობელი.

მეზობლებმა შემთხვევის ღამე გაიხსენეს.

გოგონას მეგობრის დედა ნაცვლიშვილის შეყვარებულს დადებითად ახასიათებს.

– ძალიან გაწონასწორებული და ზრდილობიანი ბიჭია, რომელსაც უყვარდა ანა. გამოვრიცხავ, ეჭვიანობის ნიადაგზე მომხდარიყო ეს საზარელი ამბავი. ისინი სულ ჩხუბობდნენ და რიგდებოდნენ. ლადოს ცხოვრებაში რაღაც პერიოდში გამოჩნდა სხვა გოგონა, რის შემდეგ ისინი დაშორდნენ, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ კვლავ შერიგდნენ. გარდაცვლილის დისგან გავიგე, რომ ანას ერთი ბიჭი ეძებდა, რის შემდეგაც დაურეკა საერთო მეგობარს და ჰკითხა, სახლში იყო თუ არა. როცა გაირკვა, რომ ანა სახლში არ იყო, ლადოსთან გადამოწმება ცადეს, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ლადოც მას ეძებდა, – აცხადებს მეზობელი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 21 წლის გოგონას სხეულზე ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნება.

„დღეს დილით, გამთენიისას, თბილისში, თემქის დასახლებაში, აღმოჩენილია ახალგაზრდა ქალის ცხედარი, რომელსაც, პირველადი ინფორმაციით, ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნება. გარდაცვლილი იდენტიფიცირებულია – იგი არის 1997 წელს დაბადებული ა.ნ. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტი ინტენსიურ ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებებს ახორციელებს. შემთხვევის ადგილზე მუშაობენ ექსპერტ-კრიმინალისტები. მიმდინარეობს გარდაცვლილის ოჯახის წევრების გამოკითხვა. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით დაიწყო“, – ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

საღამოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ შსს-მ დანაშაული გახსნა – ანა ნაცვლიშვილის მკვლელობა მისმა შეყვარებულმა აღიარა.

ეს ინფორმაცია შსს-ს სპეციალური ბრიფინგზე დადასტურდა.

უწყების ცნობით, დანაშაული ცხელ კვალზე გაიხსნა. ამის შესახებ კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა.

ნივთმტკიცებად ამოღებულია მკვლელობის იარაღი – დანა.

– დაკავებულია 1997 წელს დაბადებული ლ.გ. რომელმაც მკვლელობა შურისძიების მოტივით ჩაიდინა და 20 წლის გოგოს ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, – განაცხადეს ბრიფინგზე.

ნაცვლიშვილის მეგობრის დედა აცხადებს, რომ, მისი ინფორმაციით, მკვლელობა 05:00 საათისთვის მოხდა.

„ანას დას დაურეკავს საერთო დაქალთან და უთქვამს, ანა სახლში არ არის და ვეძებთო. როგორც ვიცი, შეყვარებულთან ურთიერთობა გამოასწორა. დიდი ხანია, ერთად არიან, ეჭვიანობის ნიადაგზე ჩხუბობდნენ ხოლმე. გამორიცხულია, ანა ვინმე უცხოსთან ჩასულიყო ღამე. სახლიდან გაიპარა“, – განაცხადა ქალბატონმა.

# მუსტაფა ემრე ჩაბუქი: „იმედი მაქვს, საქართველოს სასამართლო ჩემი ექსტრადირების გადაწყვეტილებას არ მიიღებს“

– იმედი მაქვს, საქართველოს სასამართლო ჩემი ექსტრადირების გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

ამის შესახებ დემირელის კოლეჯის მენეჯერმა მუსტაფა ემრე ჩაბუქმა ჟურნალისტებს განუცხადა.

ჩაბუქის განცხადებით, მას სჯერა, რომ საქართველო არის დემოკრატიული და თავისუფალი ქვეყანა და თავის გადაწყვეტილებაშიც იქნება თავისუფალი.

მუსტაფა ემრე ჩაბუქმა Amnesty International-ს, სახალხო დამცველის აპარატსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის.

ჩაბუქი Amnesty International-ის კვლევის პრეზენტაციას დაესწრო. აზერბაიჯანელ ჟურნალისტ აფგან მუხთარლისთან ერთად, მისი საქმე ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის კატეგორიაში მოხვდა.




– Amnesty International არის ადამიანის უფლებების კუთხით ყველაზე ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაცია. მინდა, მადლობა გადავუხადო, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელს საქართველოში. ის ჩემი ძალიან დიდი მხარდამჭერი იყო სახალხო დამცველის აპარატთან და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად. დაკავების პერიოდი დასრულდა, მაგრამ სასამართლო გრძელდება.

იმედი მაქვს, საქართველოს სასამართლო არ მიიღებს ჩემი ექსტრადირების გადაწყვეტილებას. მჯერა, რომ საქართველო არის დემოკრატიული და თავისუფალი ქვეყანა და თავის გადაწყვეტილებაშიც იქნება თავისუფალი, – განაცხადა მუსტაფა ემრე ჩაბუქმა.

# თბილისის პროკურორად მალხაზ კაპანაძე დაინიშნა

საქართველოს მთავარი პროკურატურა უწყებაში განხორციელებულ შიდა საკადრო ცვლილებების საკითხზე განცხადებას ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, თბილისში, ასევე რამდენიმე რაიონსა და რეგიონში ახალი პროკურორები დანიშნეს. ჯამში, საუბარია 6 საკადრო ცვლილებაზე.

– საქართველოს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ საქართველოს პროკურატურაში შიდა საკადრო ცვლილებები განახორციელა. ქალაქ თბილისის პროკურორად მალხაზ კაპანაძე დაინიშნა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორად – ნათია სონღულაშვილი, დასავლეთ საქართველოს პროკურორად – შოთა ტყეშელაშვილი, კახეთის პროკურორად – ლევან პაქსაშვილი, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის პროკურორად – ავთანდილ კოჭლამაზაშვილი, სამცხე-ჯავახეთის პროკურორად – შოთა რიჟამაძე.

რაც შეეხება თბილისის ყოფილ პროკურორსა და მის მოადგილეს, მიხეილ შაყულაშვილი და გიორგი გაბოძე მუშაობას საქართველოს მთავარ პროკურატურაში გააგრძელებენ.




საქართველოს პროკურატურაში შიდა საკადრო ცვლილებები პროკურატურის მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესებას ემსახურება. ყველა სხვა საკადრო ცვლილების შესახებ დამატებითი ინფორმაცია განთავსდება პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

# უბედური შემთხვევა მუჟავაში – 19 წლის ბიჭი თევზაობისას გარდაიცვალა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუჟავაში 19 წლის ახალგაზრდა გარდაიცვალა. როგორც „ნიუპოსტს“ ნოდარ მებონიას მეზობლებმა განუცხადეს, ბიჭი ელექტრომოწყობილობის გამოყენებით თევზს იჭერდა, რა დროსაც დენმა დაარტყა და ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარზე გამოძიება 116-ე მუხლით დაიწყო.



# აშშ უკრაინისთვის სამხედრო დახმარებას აფართოებს

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე სალივანმა განაცხადა, რომ აშშ უკრაინისადმი სამხედრო დახმარებას გააფართოებს. უკრაინას ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები მიეწოდება. სალივანმა ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული შეიარაღება თავდაცვითი ხასიათისაა.

– უკრაინა მას მხოლოდ გარე აგრესიის შემთხვევაში გამოიყენებს. შესაბამისად, ჩვენი ლეტალური იარაღი არავის საფრთხეს არ უქმნის, ბუნებრივია, მათ გარდა, ვინც უკრაინაზე თავდასხმას დააპირებს, – ამბობს სალივანი.



აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ხაზი გაუსვა, რომ გამორიცხულია რუსეთთან რაიმე შეთანხმება უკრაინის ერთი რეგიონის მეორეზე გაცვლის თაობაზე. ამით მან პასუხი გასცა რუსულ პრესაში გავრცელებულ პუბლიკაციებს, რომელთა ავტორებიც ამტკიცებენ, რომ რუსეთი დათმობს დონბასს, სანაცვლოდ კი აშშ ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შეყვანას დაჰყაბულდება.

– ჩვენი პოზიცია მტკიცეა: უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად უნდა აღდგეს! – თქვა სალივანმა.

# ევროკავშირმა რუსეთს სანქციები გაუგრძელა




ევროკავშირის ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რუსეთს სანქციები კიდევ ექვსი თვით გაუგრძელონ. მიზეზი დონბასში ომის გაჩაღება და ყირიმის ანექსიაა.

ამ გადაწყვეტილებამ კრემლის აღშფოთება გამოიწვია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ სანქციები რუსეთს კი არა, უკრაინას უნდა დაუწესონ.

– პოროშენკომ ხელი მოაწერა კანონს დონბასის რეინტეგრაციის შესახებ, სადაც რუსეთი აგრესორად არის გამოცხადებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ოფიციალური კიევი მოლაპარაკებებზე უარს აცხადებს და აქცენტს პრობლემის ძალისმიერ გადაწყვეტაზე აკეთებს, – აცხადებს ლავროვი.

ომი დონბასში გრძელდება. რუსეთიც სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ დანაკარგს განიცდის.

– დონბასიდან წასვლა რუსეთის ინტერესებშია და ამას დღეს თავად პუტინიც ხვდება! ის თავისივე შოვინისტური რიტორიკის მძევალი აღმოჩნდა. დღეს მას დონბასიდან წასვლა, უბრალოდ, არ შეუძლია, ომის გაგრძელება კი რუსეთის კიდევ უფრო დასუსტებას ნიშნავს, – თვლის ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

# მონტენეგრო: თავდასხმა ამერიკის საელჩოზე



პოდგორიცაში გუშინ ღამით უცნობმა პირმა აშშ-ის საელჩოს მიმართულებით ხელყუმბარა ისროლა, მეორე ხელყუმბარით კი თავი აიფეთქა. ტერორისტი ადგილზევე დაიღუპა.

თავად ამერიკის საელჩოს შენობა არ დაზარალებულა.

მომხდართან დაკავშირებით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე განცხადება გაავრცელა, სადაც ამერიკის მოქალაქეებს მოუწოდებენ, მოერიდონ აშშ-ის საელჩოს პოდგორიცაში.

„ნიუ იორკ თაიმსის“ ცნობით კი არსებობს თვითმხილველი, რომელმაც დაინახა კაცი, რომელმაც შუაღამისას ყუმბარა გადააგდო საელჩოს კედელს მიღმა. ამ დროს საელჩო დაკეტილი იყო.



# მერკელი: „რუსეთმა უნდა აიძულოს ასადი, რომ ხოცვა-ჟლეტა შეწყვიტოს“

აღმოსავლეთ გუტაში (დამასკოს მახლობლად) გრძელდება შეტაკებები სირიელ პარტიზანებსა და ასადის მომხრეებს შორის. ასადის მხედრობის ყველა მცდელობა, აღმოსავლეთ გუტა დაეკავებინა, მარცხით დასრულდა. მაშინ ასადმა ამ დასახლებული პუნქტის დაბომბვა ბრძანა.

მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში ძალიან დიდია! მხოლოდ ბოლო 2 დღის განმავლობაში 250 ადამიანი დაიღუპა.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ოფიციალურად მიმართა რუსეთს, რათა მან სირიის დიქტატორი შეაჩეროს.

– რუსეთმა უნდა აიძულოს ასადი, რომ ხოცვა-ჟლეტა შეწყვიტოს, – ამბობს მერკელი.

# დაპირისპირება პეტერბურგში



პეტერბურგის დემოკრატიული ძალების წარმომადგენლები უკრაინის საკონსულოსთან შეიკრიბნენ. მათ უკრაინის კონსულს გადასცეს მიმართვა, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთის დემოკრატები უკრაინელთა თავდადებით მოხიბლულნი არიან.

– უკრაინამ გვიჩვენა მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა თავისუფლებისთვის ბრძოლა, – განაცხადა პეტერბურგის დემოკრატიული ძალების ხელმძღვანელმა ოლგა სმირნოვამ.

ამავე დრო, საკონსულოსთან რუსეთის სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებიც მივიდნენ. მათ ნოვოროსიის დროშები და ანტიუკრაინული ტრანსპარანტები მოჰქონდათ.

– უკრაინაში რუს ჯარისკაცებს ხოცავენ! მკვლელებო, წაეთრიეთ ჩვენი ქალაქიდან, – ყვიროდნენ ისინი.

სახალხო-განმათავისუფლებლებსა და დემოკრატებს შორის კინაღამ ხელჩართული შეტაკება მოხდა. პოლიცია მათ შუაში ჩაუდგა და ამის საშუალება არ მისცა. პოლიციის გამოჩენის შემდეგ აქციის მონაწილენი დაიშალნენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# მაიკ პენსისა და კიმ ჩენ ინის შეხვედრა ჩაიშალა

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი მაიკ პენსი სეულის ოლიმპიადაზე ამერიკის დელეგაციას ხელმძღვანელობს. პენსი აპირებდა, ჩრდილოეთ კორეის ლიდერს შეხვედროდა. თითქოს ყველაფერი მზად იყო, მაგრამ უკანასკნელ მომენტში კიმ ჩენ ინმა შეხვედრაზე უარი თქვა.

პენსის პრესმდივნის ცნობით, პენსმა განაცხადა, რომ ურყევია აშშ-ის პოზიცია ჩრდილოეთ კორეაში ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხში. ჩრდილოეთ კორეის ლიდერმაც შეხვედრაზე უარი თქვა.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# დღეს საქართველო ავსტრიას ხვდება



საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები დღეს ვენაში ავსტრიის ნაკრებს 2019 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში შეხვდება. თამაში 21 საათზე დაიწყება.

გუშინ კი ეროვნულმა ნაკრებმა ივარჯიშა. ნაკრებს სრულფასოვნად შეუერთდა მაიკლ დიქსონი და ილია ზუროსს საშუალება ჰქონდა, ყველა მათგანი დაეტვირთა.

**გოგა ბითაძე:**

– 2 დღე არ არის საკმარისი გუნდის შესათამაშებლად, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ ავსტრიის ნაკრებს.

**ნიკა ცქიტიშვილი:**

– როდესაც მეტოქე გუნდურ თამაშს, უჩვენებს, აუცილებელია, გუნდური დაცვა დაუპირისპირო. ასეთ შემთხვევაში კონკრეტული კალათბურთელი არაფერს ნიშნავს, მთავარი გუნდურობაა. იმედი მაქვს, ჩვენი ასეთი მიდგომა შედეგს მოიტანს.

# მოჭიდავეები უკრაინაში საბრძოლო შემადგენლობით ჩავიდნენ



23-25 თებერვალს საქართველოს ეროვნული ნაკრებები თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კიევში იასპარეზებენ „სახელოვან უკრაინელ მოჭიდავეთა და მწვრთნელთა მემორიალში“.

უკრაინის დედაქალაქში მოჭიდავეთა ორივე ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით გამოვა – იჭიდავებენ საქართველოს ჩემპიონები და ტიტულოვანი ათლეტები. თუმცა „თავისუფალთა“ ნაკრებში ორი გამონაკლისია: ტრავმების გამო ვერ იასპარეზებენ ავთანდილ კენჭაძე (74) და ელიზბარ ოდიკაძე (97).

სხვა მხრივ ეს ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით წარსდგება, რადგან კიევში ჩავიდა მსოფლიოს სამივე ჩემპიონი: ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (65), ზურაბ იაკობიშვილი (70) და გენო პეტრიაშვილი (125). ასევე მსოფლიოს ვიცეჩემპიონი ბექა ლომთაძე, ევროპის 2-გზის ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი დავით მარსაგიშვილი, მსოფლიოს პრიზიორები სანდრო ამინაშვილი და დავით ხუციშვილი, ევროპის პრიზიორები იაკობ მაქარაშვილი და კოტე ხაბალაშვილი.

ბერძენ-რომაელთა ნაკრებში გამოვლენ ოლიმპიური პრიზიორი შმაგი ბოლქვაძე (67) და ევროპის ორგზის ჩემპიონი ზურაბ დათუნაშვილი (82).

**თავისუფალი სტილის ნაკრები:**

ოთარ გოგავა, თეიმურაზ ვანიშვილი (57კგ); ბექა ლომთაძე, გიორგი რევაზიშვილი (61); ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, ედემი ბოლქვაძე (65); ზურაბ იაკობიშვილი, კონსტანტინე ხაბალაშვილი (70); იაკობ მაქარაშვილი, ჯაბა ყველაშვილი (79); სანდრო ამინაშვილი, დავით ხუციშვილი (86); ირაკლი მწითური, დავით მარსაგიშვილი (92); გენო პეტრიაშვილი, გიორგი მეშვილდიშვილი (125).

**ბერძნულ-რომაული ნაკრები:**

ნუგზარ წურწუმია (55კგ); დავით ჩხარტიშვილი (60); ლევან ქავჟარაძე, ფირუზ წულუკიძე (63); შმაგი ბოლქვაძე (67); იური ლომაძე (72); თორნიკე ძამაშვილი (77); ზურაბ დათუნაშვილი (82); რობერტ კობლიაშვილი (87); კუკური კირცხალია (97); იაკობ ქაჯაია (130).

# დე ხეას გმირობა და შახტარის მოგება ხოჭოლავას გარეშე



**შახტარი-რომა 2:1**

**ხარკოვი. მეტალისტი**

**0:1 იუნდერი (41), 1:1 ფერეირა (52), 2:1 ფრედი (71)**

**შახტარი:** პიატოვი, ბუტკო, კრივცოვი (ორდეცი 45), რაკიტსკი, ისმაილი, ფრედი, სტეპანენკო, ბერნანდი (კოვალენკო 90), ტაისონი, მარლოსი, ფერეირა

**რომა:** ალისონი, ფლორენცი (პერესი 71), მანოლასი, ფაციო, კოლაროვი, სტროოტმანი, დე როსი, იუნდერი (ჟერსონი 72), ნაინგოლანი (დეფრელი 80), პეროტი, ჯეკო

მშვენიერი მატჩი გამოვიდა ხარკოვში, სადაც დონეცკის შახტარი რომას დაუხვდა. მაყურებელმა 2 განსხვავებული ტაიმი იხილა. პირველ ნახევარში რომა უკეთესად გამოიყურებოდა, ხოლო მეორეში უკვე დონბასელებმა ჩაიგდეს ხელთ უპირატესობა და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში შახტარი ყოველთვის უშვებს გოლს საშინაო შეხვედრაში, მაგრამ ყოველთვის იგებს. პაულო ფონსეკას შეგირდებმა არც ამჯერად „გააწბილეს“ თავიანთი გულშემატკივარი – პირველი ტაიმის წაგების შემდეგ, გამარჯვებას მაინც მიაღწიეს, მაგრამ რამდენად საკმარისი იქნება 2 მატჩის ჯამში გასამარჯვებლად, ეს რომში გამოჩნდება.

დასაწყისი „მგლების“ იყო, შემდეგ გათანაბრდა, თუმცა რომაელები უფრო ხშირად და მწვავედ აწუხებდნენ ანდრეი პიატოვს, რომელიც დიდხანს ინარჩუნებდა კარს მშრალად, მაგრამ 41-ე წუთზე ჩინგიზ იუნდერის დარტყმას ვერაფერი მოუხერხა. რომაელებმა გაიტანეს ორი მატჩის ჯამში უმნიშვნელოვანესი გოლი – სტუმრად.

თუმცა შესვენების შემდეგ მასპინძლებმა მნიშვნელოვნად მოუმატეს და რომა ამისთვის მზად არ აღმოჩნდა. უკვე 52-ე წუთზე ფაკუნდო ფერეირამ ანგარიში გაათანაბრა. რომამ ველარ მოახერხა ინიციატივის დაბრუნება, ხოლო იშტაზე მყოფმა მასპინძლებმა მეორეც გაიტანეს – ფრედმა ჯარიმა კარგად შეასრულა.

დონბასელებმს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ მცველმა გამოიტანა ბურთი კარიდან. შახტარმა მოიგო, მაგრამ ეს დამშვიდების საშუალებას სულაც არ აძლევს, რადგან მეოთხედფინალში გასვლის საკითხი ჯერ კიდევ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

და ქართული ამბავიც: სამწუხაროდ, პაულუ ფონსეკამ დონეცკელთა განაცხადში არ შეიყვანა ქართველი ფეხბურთელი დავით ხოჭოლავა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – მარლოსი

მართალია, მარლოსს გოლი არ გაუტანია, მაგრამ ყველაზე საშიში ფეხბურთელი იყო რომაელთათვის. ერთადერთი ფეხბურთელი შახტარის შემადგენლობაში, რომელსაც პირველი ტაიმიც კი არ ჩაუგდია. მომენტიც ჰქონდა, მაგრამ ალისონმა არ გაატანინა, მაგრამ მაინც იბრძოლა და ის ჯარიმა გამოიმუშავა, რომელიც ფრედმა გოლად აქცია.

**პაულუ ფონსეკა:**

– მეორე ტაიმში გუნდმა შესანიშნავად იმოქმედა. სხვა შედეგით მხოლოდ იმიტომ ვერ დავასრულეთ, რომ რომას მეკარემ შესანიშნავი მატჩი ჩაატარა და 2-3 ფანტასტიკური სეივი გააკეთა. დაზუსტებით ვიტყვი: იტალიურ კლუბებთან დაპირისპირება იოლი არასოდეს არის, განსაკუთრებით, როცა ისინი პირველები იტანენ. თამაშის შემოტრიალება საკმაოდ რთულია, ვინაიდან ისინი დაცვაში ძალიან ორგანიზებულები არიან.

**ეუსებიო დი ფრანჩესკო:**

– 1:2 ნამდვილად არ გვაწყობდა. პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ. შახტარი ჩინებული გუნდია და ყველაფერი წვრილმანებმა გადაწყვიტა. მოედანზე 2 რომა იყო – პირველ ტაიმში შემტევი, მეორეში კი, რომელიც თავს იცავდა. არ ვიცი, ასე რატომ მოხდა. გამოცდილი ფეხბურთელები მყავს და ბავშვური შეცდომები დაუშვეს. ალისონი დიდებულია, იმისთვის კი არ ხტება დარტყმულ ბურთზე, რომ ფოტოზე ლამაზად გამოჩნდეს. ჩემს გუნდს უჭირს ტემპის შენარჩუნება. გაგვიჭირდება, მაგრამ მეოთხედფინალში გასასვლელად თავს არ დავზოგავთ. აგრესიულობის დეფიციტი ჩვენი ნაკლია. ძალიან კმაყოფილი ვარ იუნდერის თამაშით.

**სევილია-მანჩესტერი 0:0**

**სევილია. ხუან სანჩეს პისხუანი**

**სევილია:** რიკო, ესკუდერო, ლენგლე, მერკადო, ნავასი, ბანეგა (პიზარო 89), ნზონზი, კორეა, ვასკესი, სარაბია, მურიელი (რამირესი 85)

**მანჩესტერი:** დე ხეა, იანგი, ლინდელოფი, სმოლინგი, ვალენსია, მაკტომინი, ერერა (პოგბა 17), მატა (მარსიალი 80), სანჩესი (რეშფორდი 75), ლუკაკუ

მატჩის შედეგი მართლაც ისეთი გამოდგა, როგორსაც ექსპერტები ვარაუდობდნენ. აი, მიმდინარეობამ კი ცოტა გააოცა გულშემატკივარი. პირველ რიგში ეს სევილიელებს ეხებათ, რომლებიც არ შეუშინდნენ „წითელ ეშმაკებს“ და თავიანთი თამაში შესთავაზეს მეტოქეს. თუმცა ამ ყველაფერს ხელი ჟოზე მოურინიომაც შეუწყო, რომელიც შედეგით კმაყოფილი დარჩებოდა.

თითქმის მთელი 90 წუთის განმავლობაში სევილია უპირატესობას ფლობდა და, რომ არა დავიდ დე ხეას გმირული თამაში, მარტო შესვენებამდე ბურთი ორჯერ აღმოჩნდებოდა მანჩესტერელთა კარში. აი, მანჩესტერელთა შეტევის ხაზი კი დიდად გამორჩეული არ იყო. თუმცა, მოურინიოს სათამაშო დისციპლინას გუნდმა არ გადაუხვია – საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო ზრუნავდა, ეს გამოუვიდა და ახლა შინაური კედლების იმედად არის.

ერთია, თუ სევილია მანჩესტერშიც ისე თამამად ითამაშებს, როგორც სანჩეს პისხუანზე, არ არის გამორიცხული, მოურინიოს შეგირდებმა ნაადრევად დატოვონ ჩემპიონთა ლიგა. ეს კი საქმეს გაურთულებს მოურინიოს, რომელსაც კრიტიკოსები ისედაც არ აკლია. მონტელას კი უფრო კარგად აქვს საქმე, რადგან მანჩესტერთან წაგებისთვის ანათემას ნამდვილად არ გადასცემენ.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – დავიდ დე ხეა

ესპანელმა მეკარემ ყველა დუელი მოუგო თანამემამულეებს. დე ხეამ 8 სეივი შეასრულა. აქედან ყველა სახიფათო არ იყო, მაგრამ 2 ისეთი მოიგერია, რომ მანჩესტერი გაცილებით კომფორტულ მდგომარეობაში ჩააყენა.

**ვინჩენცო მონტელა:**

– საკმარისი მომენტები შევქმენით, რათა ერთი ან ორი გოლი გაგვეტანა. ძალიან დასანანია, რომ ანგარიშის გახსნა ვერა და ვერ მოვახერხეთ, მაგრამ შეგვიძლია, ნაჩვენები თამაშით კმაყოფილი ვიყოთ. ამგვარი შედეგის გათვალისწინებით, მომდევნო ეტაპზე გასვლა ორივე კლუბს შეეძლება.

**ჟოზე მოურინიო:**

– თუ ოლდ ტრაფორდზე გოლებიანი ფრე დაფიქსირდება, გავვარდებით ტურნირიდან, თუ მოვიგებთ, მეოთხედფინალში გავალთ. რთული დაპირისპირებაა. ჩვენს სტადიონს მოენატრა ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფები. შარშან იქ ევროპა ლიგის მატჩები ტარდებოდა, მაგრამ ეს ტურნირი სულ სხვა სტატუსისაა. თამაშის წინ პოგბაზე მეკითხებოდით, არადა, მაკტომინიზე უნდა დაგესვათ კითხვა. ის შესანიშნავია. დღეს ყველაფერი სწორად გააკეთა, ბანეგას მეურვეობდა და სევილიის ძირითად პლეიმეიკერს სამოქმედო სივრცე შეუზღუდა.

# შედეგები

**21 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

სევილია-მანჩესტერი ..................... 0:0
შახტარი-რომა ............................... 2:1

**უეფას ევროპის ლიგა**

ცსკა-ცრვენა ზვეზდა ..................... 1:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბოლტონი-სანდერლენდი .............. 1:0
ბრისტოლი-ფულემი ...................... 1:1
დერბი-ლიდსი ................................ 2:2
იფსვიჩი-კარდიფი .......................... 0:1
ვულვზი-ნორვიჩი ........................... 2:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლეგანესი-რეალი ........................... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 24 | 19 | 5 | 0 | 62-11 | 62 |
| 2.ატლეტიკო | 24 | 16 | 7 | 1 | 36-9 | 55 |
| 3.რეალი | 24 | 14 | 6 | 4 | 58-27 | 48 |
| 4.ვალენსია | 24 | 14 | 4 | 6 | 47-28 | 46 |
| 5.სევილია | 24 | 12 | 3 | 9 | 31-35 | 39 |
| 6.ვილიარეალი | 24 | 11 | 5 | 8 | 35-29 | 38 |
| 7.ეიბარი | 24 | 10 | 5 | 9 | 32-36 | 35 |
| 8.ხირონა | 24 | 9 | 7 | 8 | 34-30 | 34 |
| 9.ხეტაფე | 24 | 8 | 9 | 7 | 29-21 | 33 |
| 10.ბეტისი | 24 | 10 | 3 | 11 | 41-50 | 33 |
| 11.სელტა | 24 | 9 | 5 | 10 | 41-37 | 32 |
| 12.სოსიედადი | 24 | 8 | 5 | 11 | 46-45 | 29 |
| 13.ლეგანესი | 24 | 8 | 5 | 11 | 21-28 | 29 |
| 14.ბილბაო | 24 | 6 | 10 | 8 | 24-27 | 28 |
| 15.ალავესი | 24 | 9 | 1 | 14 | 22-33 | 28 |
| 16.ესპანიოლი | 24 | 6 | 9 | 9 | 22-32 | 27 |
| 17.ლევანტე | 24 | 3 | 11 | 10 | 21-38 | 20 |
| 18.ლას პალმასი | 24 | 5 | 3 | 16 | 18-52 | 18 |
| 19.დეპორტივო | 24 | 4 | 5 | 15 | 24-53 | 17 |
| 20.მალაგა | 24 | 3 | 4 | 17 | 15-38 | 13 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დარმშტადი-კაიზერი ..................... 1:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ეშტორილი-პორტუ ........................ 1:3

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კარპატი-ოლიმპიკი ....................... 2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# აბრამაშვილმა ოლიმპიადაზე 28-ე ადგილი დაიკავა




კორეის ქალაქ პიონჩანში მიმდინარე ზამთრის 23-ე ოლიმპიური თამაშები ქართველი სპორტსმენებისთვის დასრულდა. ბოლო, ვინც პიონჩანის თოვლიან ტრასაზე შედგა, ქართველი სამთო-მოთხილამურე იასონ აბრამაშვილი იყო, რომელმაც სლალომში 28-ე ადგილი დაიკავა, რაც უდავოდ კარგ შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე ოლიმპიადაზე აბრამაშვილმა გიგანტურ სლალომში ტრასა ვერ დაასრულა, ამჯერად კი გაცილებით ყოჩაღად გამოიყურებოდა.

იასონმა პირველ ცდას 52.69 წამი მოანდომა და 35-ე გახლდათ, მეორე დაშვება კი 55.00 წამში დაასრულა და 29-ზე გავიდა. ჯამში, ქართველი სპორტსმენის დრო 1:47.69 წუთი იყო, რაც 28-ე შედეგი აღმოჩნდა.

შეჯიბრებაში 99 სამთო-მოთხილამურე ჩაება, რომელთაგან 56-მა დისტანცია ვერ დაასრულა.

აბრამაშვილი მისთვის მეოთხე ოლიმპიადაზე მონაწილეობდა და ეს შედეგი მისთვის საუკეთესოა.

# ხარაიშვილი კარიერას გიოტებორგში გააგრძელებს



საბურთალოს კაპიტანი და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი, 21 წლის ნახევარმცველი გიორგი ხარაიშვილი, სკანდინავიის ერთ-ერთ ტიტულოვან კლუბში, შვედეთის გიოტებორგში ითამაშებს. მხარეები ხელშეკრულებას 1+2.5 სისტემით გააფორმებენ.

ხარაიშვილის მიმართ ინტერესი მუდმივად იყო. ბოლო პერიოდის განმავლობაში ჩვენებურით დაინტერესებას ბელგიის, ჰოლანდიის, დანიის წამყვანი გუნდები იჩენდნენ, თუმცა გიოტებორგმა ყველაზე დიდი ინტერესი გამოხატა, რის შემდეგაც მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს.

**კახა კაშია, საბურთალოს აღმასრულებელი დირექტორი:**

– ჯერ სიტყვიერად შევთანხმდით. ფეხბურთელთან ერთად შვედეთში გავემგზავრები და კონტრაქტსაც ხელი იქ მოეწერება. მიუხედავად იმისა, რომ ხარაიშვილი ჩვენთვის დიდ ძალას წარმოადგენს, სწორი ნაბიჯი გადავდგით. გეზი, რომელიც საბურთალოს აქვს აღებული, გრძელდება. გამორჩეულ ფეხბურთელებს კი გზას ვუხსნით ევროპის წამყვან საფეხბურთო კლუბებში.

გიორგი ხარაიშვილმა, რომელიც საბურთალოს აღზრდილია, 2013-14 წლების სეზონიდან მოყოლებული კლუბში 112 მატჩი ჩაატარა. აქედან 108 შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში იყო. მან 55 გოლი გაიტანა.

# ტორპედოს სასჯელის ფორმა შეუცვალეს

როგორც მოგეხსენებათ, ეროვნული ლიგის 2018 წლის გათამაშება 2 მარტს აიღებს სტარტს.

სეზონს ქვეყნის ჩემპიონი, ქუთაისის ტორპედო, გორის დილასთან საშინაო მატჩით გახსნის. 2017 წლის ეროვნული ლიგის ბოლო ტურში სტუმრად, თბილისის დინამოსთან საჩემპიონო მატჩისას ტრიბუნაზე მომხდარი არეულობის გამო ტორპედო ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს და დილასთან და ლოკომოტივთან საშინაო მატჩები უმაყურებლოდ უნდა ჩაეტარებინა.




თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ 2 მარტი ჩემპიონატის გახსნის დღეა, გულშემატკივართა ინტერესი დიდია და თან დაგეგმილია მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი საზოგადოებრივ მაუწყებელზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შუამდგომლობით მიმართა სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტს სასჯელის გადანაცვლების თაობაზე.

სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა ზემოაღნიშნული საკითხი, გაითვალისწინა გარემოებები და დაადგინა, რომ ჩემპიონატის გახსნითი მატჩის ნაცვლად, ტორპედო სასჯელით გათვალისწინებულ ერთ უმაყურებლო მატჩს მესამე წრეში იმავე გორის დილასთან ჩაატარებს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# შოთა იათაშვილს ანგარიშები დაუყადაღეს



პოეტ შოთა იათაშვილს საბანკო ანგარიშები დაუყადაღეს. ინფორმაცია ამის შესახებ პოეტმა თავად გაავრცელა:

– ერთმანეთს დაემთხვა ორი ინფორმაცია: ჟურნალის დაფინანსების თაობაზე და ჩემი დაყადაღების შესახებ.

წლების განმავლობაში ორი თვე რომ კულტურის სამინისტრო საშველს ვერ აყენებს იმის გარკვევას, დამდგარ წელს რა უნდა აკეთოს და რა – არა და შენც არ იცი, მარცხნივ გაიქცე თუ მარჯვნივ, მოიცადო, ახალ საქმეს ეცე თუ ჰაერში გამოეკიდო და ორი თვე რომ შემოსავალი არ გაქვს ამ გაუგებრობაში და კრედიტსაც ვერ იხდი, დაგტოვებს მერე ბანკი სიპ ქვაზე და დაჯექი ახლა შოთა ამ სიპ ქვაზე და იკითხე ჟურნალის მასალები და მერე კიდევ 10 თვეში 12 ნომრის გამოცემა მოასწარი...

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# მაია ასათიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა რთულია



ტოკშოუ პროფილის წამყვან მაია ასათიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა რთულია. ამის გამო შემოქმედებითი ჯგუფი იძულებულია, ეთერი დროებით გააჩეროს.

ინფორმაცია ამის შესახებ ტოკშოუ პროფილის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– სამწუხარო ამბავი უნდა გაცნობოთ, მაია თავს ცუდად გრძნობს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა რთულია, ამიტომ, იძულებულნი ვართ, დროებით ეთერი გავაჩეროთ.

იმედი გვაქვს, ჩვენს ერთგულ მაყურებელს მალე დავუბრუნდებით, როცა მაიას ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას მოგვცემს.

მადლობა გვერდში დგომისთვის!

# სტეფანე მღებრიშვილი ბრიტანეთის რეიტინგულ არხზე მიიწვიეს

მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი ბრიტანეთის ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ არხ „ჩენელ 5"-ზე მიიწვიეს. არხის მიერ მომზადებული გადაცემა ევროვიზიას ეძღვნება.

**სტეფანე:**

– რამდენჯერაც ევროპული გადაცემები აკეთებენ სიუჟეტს ევროვიზიაზე, იმდენჯერ მიკავშირდებიან. ასევე ყოველ წელს ევროვიზიის კონკურსზე ჩვენ გვანახებენ, როგორც ბენდს, რომელიც ისტორიაში შევიდა და დაიბლოკა, როცა ამის ფიზიკური მიზეზი არ არსებობდა და უამრავი უცხოური გამოცემა დღემდე წერს ამ პროექტის შესახებ, როგორც მარკეტინგულად გამართლებულ პროექტზე, რაც საქართველოს მხარეს არასოდეს გაუკეთებია. მეტსაც გეტყვით, თითქოს არც ვარსებობდით არასდროს და იმ უაზრო კონკურსანტებს ეძახიან, რომლებმაც საქართველო შეუმჩნევლად დატოვეს... თუმცა მე ამას არ განვიცდი, უბრალოდ, სიტყვას მოვაყოლე...



ბრიტანეთის ურეიტინგულესი არხიდან „ჩენელ 5"-დან დამიკავშირდნენ და აკეთებენ გადაცემას, სადაც ევროვიზიას, როგორც არაფრისმაქნის, ფულის მახესა და პოლიტიკურ კონკურსს მოიხსენიებენ... ხო და ვიზას, სასტუმროს, ბილეთს გადაგიხდით და ასევე ჰონორარსაც მოგცემთო, ოღონდ ჩამოდით ჩვენთან სტუმრად 19-21 მარტს, სხვა აქაურ ვარსკვლავებთან ერთად იქნებითო ჩვენს გადაცემაშიო... დავთანხმდი მეც... რა მექნა...

# ნიკა ქავთარაძე ტელევიზიას დაუბრუნდა



იუმორისტი ნიკა ქავთარაძე ტელევიზიას დაუბრუნდა. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ნიკა გადაცემას „კავკასიაზე" წაიყვანს.

**ნიკა ქავთარაძე:**

– ყოველ ხუთშაბათს „კავკასიის" დღის გადაცემას ერთად წავიყვანთ მე და მერაბ მეტრეველი. ამის გარდა, სხვა ძალიან საინტერესო რაღაცებსაც ვგეგმავთ მე და ნინო ჯანგირაშვილი.

მოკლედ, დავუბრუნდი ტელევიზიას და დიდი მადლობა ყველას, ვინც ეს შანსი მომცა.

# ასტროპროგნოზი

## 23 თებერვალი



**ვერძი** – სამომავლო გეგმებში ცვლილებებია მოსალოდნელი, რაც გაუთვალისწინებელ შეხვედრებს უკავშირდება. იყავით უფრო ლმობიერი და წინდახედული. **კურო** – ინტიმურ სფეროში საინტერესო სიახლეა. ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. **ტყუპები** – ნურაფერს გადაწყვეტთ. აჩქარებით საქმეს ავნებთ. ერიდეთ ქალაქიდან გასვლას. **კირჩხიბი** – მნიშვნელოვან დოკუმენტებზე ხელმოწერისათვის შეუფერებელი დღეა. მსუბუქი საქმით დაკავდით. **ლომი** – უპასუხისმგებლობას ცუდი შედეგი მოჰყვება. თუ მუშაობთ, საქმეში მთელი სული და გული ჩადეთ. **ქალწული** – პრობლემები იჩენს თავს პირად ცხოვრებაში. ცხელ გულზე ნურაფერს მოიმოქმედებთ. **სასწორი** – იშრომეთ და ისწავლეთ. თქვენი ძალისხმევა დაუფასებელი არ დარჩება. **ღრიანკალი** – გაუფრთხილდით ურთიერთობებს, ერიდეთ მკვახე გამონათქვამებს. ნუ გადაიღლებით. **მშვილდოსანი** – მცირეოდენი ფიზიკური ვარჯიში დღეს არ გაწყენთ. ასევე გეამებათ ფეხით სიარული და ბაღში წამუშავება. **თხის რქა** – შესანიშნავი პერიოდია ცოდნის სრულყოფისათვის. აიმაღლეთ პროფესიონალიზმი. **მერწყული** – საყიდლებზე წასვლა გაგახალისებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **თევზები** – სიყვარული და მოთმინება დღის დევიზია. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მოძღვრება ხეხილის ჯიშების შესახებ; 2. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 3. მუსლიმანთა ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 4. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 5. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი; 11. მონასტერი ხულოს რაიონში; 12. ცნობილი ფრანგი ძიუდოისტი მამაკაცი; 14. მდინარე სანკტ-პეტერბურგში; 16. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა; 19. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 21. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 22. შავიზღვისპირა კურორტი ბულგარეთში.

**თარაზულად**: 6. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 7. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 8. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 9. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 10. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 13. საკათედრო ტაძარი თბილისში; 15. მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული; 18. რიგითი მეზღვაური; 20. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 21. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 23. კერძო დეტექტივების მეტსახელი აშშ-ში; 24. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფაზისი; 2. ადა; 3. ალარმისტი; 4. ურანი; 5. პასტელი; 8. დაბალი; 9. ზინგშპილი; 12. ჯეგერი; 14. კატარი; 16. ოპიზა.

**თარაზულად:** 1. ფუმიგაცია; 6. ალეგორია; 7. ზუგდიდი; 9. ზღარბი; 10. რიყე; 11. მარტენი; 13. ჟოკეი; 15. შაპიტო; 17. ლიგნიტი; 18. ზენიტი; 19. ავერსი; 20. შარიატი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დეფინიცია; 2. მისხალი; 3. ჩანახი; 4. ულუსი; 5. სტატია; 11. დილერი; 12. ტრაკაი; 14. ჩოხა; 16. სანდალი; 17. ფლუგერი; 19. ბულიმია; 21. ფლეში; 22. მაზდა.

**თარაზულად:** 6. გენეტიკა; 7. ფალცეტი; 8. სელტა; 9. ანემია; 10. ხუნდი; 13. გირჩი; 15. უსახელაური; 12. მიტარბი; 20. ლირა; 21. ფელახი; 23. სიმპოზიუმი; 24. რატუში.

# ნინო ჩხეიძე „რუსთავი 2“-ს პროექტიდან მოტეხაში ადანაშაულებს

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა ახალი მუსიკალური პროექტი წამოიწყო. „მხოლოდ ქართული“ საქართველოს რეგიონებს მოივლის და საუკეთესო მომღერლებს შეარჩევს. „მხოლოდ ქართულის“ შესარჩევი ტურები გორიდან დაიწყება და ჟიურის წევრები გიორგი უშიკიშვილი, სოფო ნიჟარაძე და მარინა ბერიძე კონკურსანტებს ერთად შეაფასებენ.

მომღერალი ნინო ჩხეიძე ახალ მუსიკალურ პროექტს „საქართველოს ფანოლის“ გაგრძელებას უწოდებს და პროექტიდან მის მოტეხაზე საჯაროდ საუბრობს.

**ნინო ჩხეიძე:**

– „საქართველოს ფანოლის“ გაგრძელება „რუსთავი 2“-ზე სახელად „მხოლოდ ქართული“, იმავე იდეის განხორციელება უჩვენოდ მაგრა ტეხავს.

ნინო ჩხეიძის განცხადებას ნიკა გვარამია და სოფო ნიჟარაძე გამოეხმაურნენ.

**სოფო ნიჟარაძე:**



– „მხოლოდ ქართული“ არაა ფანოლი, ნინო, ჩემო საყვარელო. ხომ იცი, რომ ძალიან მიყვარხარ და პატივს გცემ, ასევე ვიცი, რომ საკმაოდ კარგად ერკვევი მიმდინარეობებში. ქართულ სიმღერას სხვა მიმდინარეობები აქვს და უფრო ღირებული, ვიდრე ფანოლი, ჩემი პატივისცემის მიუხედავად. სწორედ ამას ესმევა ხაზი ამ პროექტში და მოდი, ნუ დავაბნევთ ხალხს და ტყუილს ნუ მივაწვდით. მე, პირადად, ქართულ მუსიკაზე პირველი მახსენდება ლაღიძე, ცაბაძე, ვიქტორ დოლიძე, ზაქარია ფალიაშვილი და უამრავი სხვა გენიოსის კლასიკური თუ თანამედროვე შემოქმედება, ასევე ფოლკლორი, ქართული პოლიფონია და არა ფანოლი და „აფრები“, არც სხვა მსგავსი სიმღერები, თუმცა მათაც თავისი მსმენელი ჰყავთ, ასე რომ, დიფერენცირებაა საჭირო. წარმატებები უსურვეთ ახალ წამოწყებას, ქართული სიმღერის პოპულარიზაციას ემსახურება და ესაა დაკვეთა ხალხისგან. ნუ ვიჩხუბებთ, გვიხაროდეს კარგი საქმე.

**ნინო ჩხეიძე:**

– ჩემო საყვარელო სოფო, შენ, ეტყობა, არ ხარ ინფორმირებული და, შესაბამისად, ვერ გავიგე შენი პასუხის აზრი, შენ მიერ ჩამოთვლილი ბუმბერაზი კომპოზიტორების სიმღერებს პროექტ საქართველოს ფანოლში მღეროდნენ მონაწილეები, აქვე მინდა აღვნიშნო კიდევ ერთხელ, რომ მუსიკალურ მიმდინარეობაზე არ იყო ლაპარაკი, ლაპარაკია იმაზე, კომედი არხზე დიდი რეიტინგი რომ დადო პროექტმა, იყო შეთავაზებები, რუსთავი 2-ზე გადატანილიყო, გადაფუთულიყო და გაკეთებულიყო იმის მსგავსად, რაც დღეს კეთდება ჩემ გარეშე. შენ კარგად იცი, როგორ პატივს ვცემ შენს შემოქმედებას, პიროვნებასა და ინდივიდს, მაგრამ, სწორად გაიგე, რას ვამბობ – იყო შეთავაზებული მსგავსი ტიპის პროექტი ჩემგან, რაზეც მივიღე უარი და ახლა აღმოვაჩინე, რომ კეთდება ჩემ გარეშე. არც ვჩხუბობ და არც არავის ვემდური, არც არავისი იუმორინა ვარ და არც ასეთ დამოკიდებულებას ვიმსახურებ იმ ტელევიზიისგან და ამ ტელევიზიაში მყოფი ადამიანებისგან. მე, პირიქით, პოზიტიურად ვარ განწყობილი და წარმატებას გისურვებთ, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, ძალიან ტეხავს, როცა შენ გეუბნებიან არას და მერე თავად აკეთებენ შენ გარეშე იმას, რაც შენი ნაწილია.

პ.ს. არც ფანოლის მომღერლები არიან დასაცინები და არც ერის მენტალური იუმორინა.

**სოფო ნიჟარაძე:**

– პირველად მესმის, პროექტის იდეა თუ გქონდა, რომლის ბაზაც იყო „საქართველოს ფანოლი“, თუმცა, პოსტიდან გამომდინარე, ვინც დეტალები არ ვიცით და ასეთია უმრავლესობა, რჩება შთაბეჭდილება, რომ პროექტი „მოიპარეს“, თუმცა, ჩემი აზრით, ორ სხვადასხვა სახის, მასშტაბისა და მიმდინარეობის პროექტთან გვაქვს საქმე. არავინ არ დასცინის არავის, მართლა, ამის მტკიცება არ უნდა გვჭირდებოდეს.

**ნინო ჩხეიძე:**

– სამწუხაროც ეგ არის, რომ გარედან შეფასებულით აკეთებენ ანალიზს და ისე ფუთავენ, როგორც მათ ან გარკვეულ სიტუაციას სჭირდება. შენ ხომ იცი, სიმართლის მთქმელს ცხენი სულ მზად უნდა ჰყავდეს შეკაზმულიო, მაგრამ ცხენი შეკაზმული გასაქცევად მე არასოდეს მეყოლება. მე მიყვარს ქართული მუსიკა, მე მიყვარს ქართული სიმღერა, მე დიდ პატივს ვცემ ყველას, ვინც ქმნის და ქმნიდა ხარისხიან მუსიკას. კიდევ ერთხელ ვუსურვებ ყველას წარმატებას და გულწრფელად ვაფიქსირებ ჩემს პოზიტიურ განწყობას, მაგრამ, შენ რომ იყო ჩემ ადგილას, ზუსტად ასეთი გულნატკენი დარჩებოდი.



**ნიკა გვარამია:**

– საქართველოს ფანოლის არა, ვარესის, იუმორინას გაგრძელებაა.

**ნინო ჩხეიძე:**

– მე როგორც ვიცი, არაერთხელ შემოგთავაზეს ჩვენმა საერთო მეგობრებმა ქართული სიმღერის პროექტის გაკეთება. იმის მერე, რაც კომედი არხზე დიდი რეიტინგით სარგებლობდა საქართველოს ფანოლი, გაჩნდა იდეა, რომ გადმოგვეტანა პროექტი არა სრულად, ისე, როგორც იმ არხზე იყო, არამედ დახვეწილი, განახლებული და ახლებურად შეფუთული, რაზეც მე უარი მივიღე. უბრალოდ, საწყენია, ნიკა, თქვენგან, მე ერთგულად გვერდში გედექით ყველაფერში და თქვენ ყველამ ზურგი მაქციეთ. აქვე მაინტერესებს, სასაცილო თუ იყო ჩვენი პროექტი, ამხელა რეიტინგს რომ გიწერდით, მაშინ რატომ არ იცინოდით? ან თუ დასაცინი იყო, რატომ გადიოდა დასაცინი პროექტი თქვენს არხზე? მესმის, შეიძლება მიპასუხოთ, რომ კომედი არხზე გადიოდა, მაგრამ იქ მონაწილე ადამიანები და ჟიურის წევრები ნამდვილად არ არიან დასაცინი



ხალხი და არც იუმორინა. ასე რომ, სასაცილო რაც არის, მოდი, ერთად ვიცინოთ იმაზე და არა იმ ხალხსა და იმ პროექტზე, რაც თქვენს ჰოლდინგს ძალიან დიდ რეიტინგს უწერდა.

**ნიკა გვარამია:**

– მსგავსი არაფერი მომხდარა და არც შენ განხილულხარ, ნინო, რ-2-ზე რომელიმე მუსიკალურ პროექტში ოდესმე და ფანოლი იყო გასართობი და სასაცილო და არა მუსიკალური პროექტი. მაგიტომაც გადიოდა კომედი არხზე.

**ნინო ჩხეიძე:**

– სამწუხაროა, რომ მე სხვას მეუბნებიან და შენ სხვა რამ დაწერე, მაგრამ, ერთი ის მიხარია, რომ გულწრფელი ხარ და, რასაც ფიქრობ, იმას წერ. ახლა უკვე გავიგე, ბოლო წლების განმავლობაში რატომ ვარ დაბლოკილი თქვენს არხზე, ნანუკას შოუს გარდა, იმასაც მივხვდი, რომ დროისა და სტატუსების ცვლილება თურმე მოქმედებს ადამიანებზე. არ მეგონა, თუ შენთვის და რუსთავი 2-სთვის მარტო იუმორისტულ ჭრილში განვიხილებოდი. ნეტავ კიდევ რა ჭრილში მიხილავს რუსთავი 2?

**ნიკა გვარამია:**

– იუმორისტული ჭრილი დასაცინი არ არის. ჩვენს არხზე იუმორისტული გადაცემის წამყვანი ქვეყნის ყველაზე რეიტინგული ტელეფიგურაა.

**ნინო ჩხეიძე:**

– შენ ალბათ დაგავიწყდა, რომ მე მომღერლად მიცნობს მთელი საქართველო.

**ნიკა გვარამია:**

– არც მე ვარ მზარეული.

**ნინო ჩხეიძე:**

– ალბათ ეგეც რეიტინგს გიწერს, ჩემო ნიკა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

გარდაიცვალა საინჟინრო მეცნიერებათა პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ტრანსპორტის საერთაშორისო და საქართველოს საინჟინრო „ფაზისისა“ და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სპი-ს საავტომობილო ტრანსპორტის კათედრის ყოფილი გამგე, საქართველოს საზოგადოება „ქართლისა“ და დამოუკიდებელი ქვეყნების ავტოსატრაქტორო და საზოგადო სპეციალობების სასწავლო-მეთოდური გაერთიანებების საბჭოს წევრი, საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის დამფუძნებელი და რექტორი, არაერთი დამხმარე და მეთოდური სახელმძღვანელოს ავტორი, მრავალი სტუდენტის აღმზრდელი, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, ბორჯომის საპატიო მოქალაქე, სამშობლოს პატრიოტი, შესანიშნავი მეუღლე, მამა და პაპა, არაჩვეულებრივი მეგობარი და ყველასათვის საყვარელი ადამიანი



## მურმან ედილაშვილი

*მეგობრებისგან*



მეუღლე ლია, შვილი თამარი, შვილიშვილები ქეთევანი, გვანცა, შვილთაშვილები გიორგი, ელენე, თამარი, სიძეები ზურაბ შიშმანაშვილი, მიხეილ ბეგიაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## მურმან ედილაშვილი

**პანაშვიდი:** 22, 23 თებერვალს.

**დაკრძალვა:** შაბათს, 24 თებერვალს, 14 საათზე.

**მისამართი:** სოფელი დიღომი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №2.

## ვახტანგ სევერიანის ძე ბიბლაიას მოსაგონარი



აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება, შს სამინისტროს ვეტერანები, დევნილთა მრავალათასიანი არმია და ნათესავ-მეგობრები დიდი გულისტკივილით იუწყებიან მაღალი რანგის პროფესიონალი იურისტის, საქართველოს დამსახურებული ჩეკისტის, პოლიციის პოლკოვნიკ ვახტანგ სევერიანის ძე ბიბლაიას მოულოდნელ ტრაგიკულ დაღუპვას, რომელმაც შეძრა მისი მშობლიური „ოდაბადეს“ – სამურზაყანოს მცხოვრებლები – უახლოესი ნათესავ-მეგობრები.

ბატონი ვახტანგი, როგორც უმაღლესი რანგის პროფესიონალი ჩეკისტი, იცავდა და იდგა კანონიერების სადარაჯოზე აფხაზეთის რესპუბლიკაში. წლების განმავლობაში თავდაუზოგავი სახიფათო შრომა მისი ემსახურებოდა პატიოსანი, მშრომელი ადამიანების უსაფრთხოებას, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს არც ისე მარტივი საქმე იყო იმ პერიოდში, საჭირო იყო ორგანოში ახალი პროფესიონალი კადრების აღზრდა საზოგადოებაში ჯანსაღი, სამართლიანი ატმოსფეროს შესაქმნელად, რასაც მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია. მისი სიცოცხლის ფასად გადარჩენილი არასრულწლოვანი მძევალი ლაგვილავა, საკავშირო მნიშვნელობის ძებნილი ქეცბას აყვანისა და გატაცებული ადამიანის უფლებათა დამცველის – სანდრო კავსაძის ბანდიტების ხელიდან გამოხსნის წარმატებული ოპერაციები მეტყველებენ მის გმირულ საქმიანობაზე, ვაჟკაცობასა და პროფესიონალიზმზე.

აი, რას ამბობს წიგნის „გალელ პოლიციელთა გმირული ოდისეას“ ავტორი ჯემალ გაბელია მის შესახებ: „წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ისეთ სამსახურს, რომლის საქმიანობას დიდი წვლილი შეაქვს დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში. მიუხედავად ექსტრემალური სიტუაციებისა, სასოწარკვეთილი და დაბნეული არავის უნახავს... ამიტომაც მისი დაგეგმილი და განხორციელებული ოპერაციები სასურველი შედეგით სრულდებოდა“.

ბატონი ვახტანგი დაჯილდოებული იყო მედლით „მხედრული მამაცობისათვის“, „საპატიო ნიშნის ორდენითა“ და ფასიანი საჩუქრებით.

მისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, იყო უშიშარი, გულადი, მედგარი ვაჟკაცი, სამართლიანი, ამავე დროს, უანგარო, კეთილი, მზრუნველი, მეგობრებში გამორჩეული, ქართული ადათ-წესების ქომაგი, კოლორიტული ინტელიგენტი.

ბატონი ვახტანგი იყო ტრადიციული ოჯახის შვილი, დიდებული მეუღლე, საყვარელი მამა, სანიმუშო მეგობარი, რომელმაც სასტიკად დაგვწყვიტა გული მოულოდნელი გარდაცვალებით.

ნათელში იყოს მისი უწმინდესი სული აწ და მარადის, ამინ!

*გულისტკივილით, მეგობართა ჯგუფი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

პარასკევი 23 თებერვალი

**06.00, 11.40** ზამთრის **23**-ე ოლიმპიადა (პ/ე) **10.40** ოლიმპიური გადაცემა. **11.00, 18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **19.00, 05.00** "რეალური სივრცე" **20.00** ტ/სერ. **"ელემენტარული" 20.50 კალათბურთისი** მსოფლიოს **2019** წლის შესარჩევი ტურნირის მატჩი. **ავსტრია - საქართველო.** (პირდაპირი ვენიდან.) **22.45** მხ/ფ **"ადამიანები შავებში 3"** (უ.სმიტი) **00.00** ოლიმპიადა **04.00** ტ/სერ. **"ელემენტარული"**

**06.30, 19.03** სერ. **"დასაწყისი" 07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.50** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. **"ელიფი" 12.30** იმედის დღე **14.40** სერ. **"ტყუილი" 16.00** სერ. **"ფული და სიყვარული" 9** სერ. **17.45** სერ. **"ცოდვილი" 21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. **"ფავორიტი" 23.30** მხ/ფ **"მკვლელობის სეზონი" 01.00** მხ/ფ **"რეიდი 2" 03.25** მხ/ფ **"ბასტილიის დღე" 05.20** მხ/ფ **"რეიდი"**

**06.00, 18.50** სერ. **"მეორე შანსი" 07.00, 20.35** სერ. **"დიდი ოჯახი" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი" 12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"ბედის ანაბარა" 15.40** სერ. **"მზიანი დღეები" 22.00** ვანოს შოუ **23.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 00.30, 00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

tv პირველი **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. **"რამონზე შეყვარებული" 13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **14.00, 16.00** ლევან ჩხაიძის დღის ამბები **15.00, 22.45, 7.00** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00, 4.00,** მხ/ფ **20.00** პირველები **23.10** ავტორბოლა **23.30** სერ. **"დამალული სიმართლე"**

GDS **08.00** ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. **"ერთხელ ზღაპარში-4" . 11.00** მხ/ფ **"ყოველთვის თქვი დიახ" 13.00** სერ. **"შილდის აგენტები" 17.00** სერ. **"ფარი 3" 19.00** სერ. **"ჯაშუში 5" 21.00** სერ. **"საიდუმლო და ტყუილი" 12** სერ. **22.30** სერ. **"სპარტაკი" 00.30** მხ/ფ **"წერილი ბოთლში" 02.50** მხ/ფ **"ცხოვრების გემო" 04.40** მხ/ფ **"სახიფათო კავშირები" 06.35** მხ/ფ **"ცეცხლი და ყინული"**

იბერია **08.00** ანიმაცია **08.30** სერ. **"ბანდოლერა" 10.40, 12.40, 18.05, 19.50** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **11.20, 19.55** მე რომ ვიყო **11.30, 02.00** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00** მოდი გავეყაროთ **16.00, 03.00** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.10** სერ. **"ბაქცეულები" 20.00, 04.00** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე " **21.00** სერ. " **სოლი 23.00** ღია სტუდია **00.00** ახალი ამბები კოლაჟი **00.30** მხ/ფ

**08.00, 00.00, 02.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.10** ანიმაცია **09.10, 13.30** დ/ფ **10.00, 19.10** სერ. **"ვასწავლი გიტარაზე დაკვრას" 10.50** "დილის ტალღა" (სიუჟეტები) **11.10, 20.00, 20.35** თოქ-შოუ "ჰეშთეგი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მთავარი" **12.30** "უცხო სუნელი" **13.00** ინგლისური ენის გაკვეთილები **14.30** "ევრომაქსი" **15.30** "ეთნოფორი" **16.00** მხ/ფ **"ქალი და მამაკაცი" 18.30** "იმპულსი" **20.30** ანონსი **20.45** "იყო და არა იყო რა" (საბავშვო გადაცემა) **21.45** მხ/ფ **"გაღმა ნაპირი" 00.05** მხ/ფ **"მთელი ეს ორომტრიალი"**

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** მხ/ფ **"ადამიანთა სევდა" 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** საგალობელი **08.30** "განთიადი" **10.10** ქრისტიანული სწავლება **10.25** მხ/ფ **"დათა თუთაშხია" 12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ **"ვამეხი მოდის" 13.35** კონცერტი - კონტრაპუნქტი **15.05** მხ/ფ **"ძახილი" 16.15** კონცერტი -ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის ვ.კახიძე **18.15** დ/ფ "ფარავნის მორჩილნი" **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** "განთიადი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.35** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** დროის ჩანაწერები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "გაფითრებული თებერვლის ლანდი" **00.10** ისტორიის დღიური **00.30** მხ/ფ **"დათა თუთაშხია" 01.45** კონცერტი -ვენის სიმფონიური ორკესტრი **03.05** მხ/ფ **"მოხუცი და ზღვა" 04.40** კონცერტი - ლევ მარკიზი - საქ. სიმფონიეტა

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**23 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4686

ევრო — 3.0435

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4442

100 რუსული რუბლი — 4.3637

## ამინდის პროგნოზი 23 თებერვლისთვის




## 13 თებერვლიდან

ჯონ სტაინბეკი

## კონსერვის რიგი




„კონსერვის რიგი“ დიდი ამერიკელი მწერლის – ჯონ სტაინბეკის ერთ-ერთი გამორჩეული რომანია. წიგნი 1945 წელს გამოიცა და ერთი ქუჩის ცხოვრებას აღწერს დიდი დეპრესიის პერიოდის კალიფორნიის ქალაქ მონტერეიში.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 22 თებერვლიდან




ეჟენ იონესკო

## განდგომილი

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 23 თებერვლიდან

ალექსანდრ ლევკოვსკი

## ყველაზე შორეული ზურგი




წიგნი მოგვითხრობს 1943 წლის ზაფხულის მღელვარე პერიოდზე. მკითხველისთვის საინტერესო იქნება ნაკლებად ცნობილი „ლენდ ლიზი“-ის პროექტის გაცნობა, რომლის მიხედვითაც ამერიკამ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირი 11 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო მასალებითა და სურსათით მომარაგა. რომანში მოქმედება სსრკ-ში, ჩინეთში, ამერიკაში, იტალიაში, ესპანეთსა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე ვითარდება.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## იუმორი



გამთენიისას კაზინოში მაგარი ქალი შედის, მიდის რულეტკის მაგიდასთან, რომელთანაც მხოლოდ ორი კრუპიე დგას და ეუბნება:

– თამაში მინდა.

– კი ბატონო.

– მხოლოდ ერთხელ, თუ შეიძლება.

– კი ბატონო.

– ათას დოლარს დავდებ ნომერზე.

– დიახ, რა თქმა უნდა.

– უეჭველად მოვიგებ, მე ყოველთვის ვიგებ.

– წარმატებას გისურვებთ.

– მე ერთი იღბლიანი მეთოდი მაქვს, კაბის და ტრუსიკის გარეშე ვთამაშობ. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

– არა, ბატონო.

ქალმა კაბა და ტრუსიკი გაიხადა და კრუპიეს ეუბნება:

– მიდით დაიწყეთ.

კრუპიემ რულეტკა დაატრიალა და ბურთულა ჩააგდო. გოგონამ ფეხის წვერებზე წამოიწია:

– მიდი, მიდი, მიდი, ვაშააა!!! მოვიგეეე! რას ვამბობდი!

ეცა კრუპიებს, ჩაეხუტა, აკოცა. გაოგნებულმა კრუპიემ ფიშკები ჩაუთვალა. ქალმა სწრაფად ჩაიცვა და წავიდა. ერთი კრუპიე მეორეს ეკითხება:

– როგორ უმართლებს ზოგიერთს! და რომელი ნომერი ამოვიდა?

– და, რომელზე დადო?

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– სულ ტყუილად ვეჩხუბეთ ჩვენ გოგონას პირსინგის გამო.

– რატომ?

– ახლა, დილით მისი გაღვიძება უფრო ადვილია.

•••

ქალი მაღაზიიდან სახლში დატვირთული ბრუნდება. სადარბაზოში მას წინ მამაკაცი გადაუდგება, ლაბადას გადაიწევს და თავის შიშველ ღირსებას დაანახვებს. ქალი შეხედავს და წამოიძახებს:

– უიმე, ძეხვის ყიდვა დამავიწყდა!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ეწევი?

– არა.

– სვამ?

– არა.

– ნარკოტიკებს იღებ?

– არა.

– აბა, რითი იხსნი დაძაბულობას?

– მერე ვინ გითხრა, რომ ვიძაბები?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 15 თებერვლიდან

იაკობ ჯუღაშვილი

## პაპაჩემი სტალინი




წიგნი წარმოადგენს სენსაციურ მემუარებს ბელადის შესახებ. იგი შუქს ჰფენს კრემლისა და ოჯახის ისეთ საიდუმლოებებს, რომლებიც აქამდე უცნობი იყო საზოგადოებისთვის.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**




## 16 თებერვლიდან

შორენა ლებანიძე

## ეს მე ვარ, ფიროსმანი

რომანი დიდი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის ცხოვრების თავისებურ ლიტერატურულ ვერსიას გვთავაზობს, რომელიც დოკუმენტურ მასალებზე, საარქივო წყაროებსა და თანამედროვეთა მიერ მოთხრობილ რეალურ ცნობებზეა დამყარებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 21 თებერვლიდან

მაკა სეფაშვილის

## დანაშაული აღარ მოხდება

„ქართული დეტექტივის“ მე-8 ტომი




**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## სერხი რობერტომ ბარსელონასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა



ბარსელონის ნახევარმცველმა სერხი რობერტომ კატალონიურ გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც ის ამ გუნდში 2022 წლის ჩათვლით ითამაშებს.

რობერტოს სატრანსფერო ფასი 500 მილიონი ევრო იქნება და მისი შეძენის მსურველებს სწორედ ამ თანხის გადახდა მოუწევთ.

სერხი რობერტომ განაცხადა, რომ ძალიან ბედნიერია ახალი კონტრაქტის გაფორმებით და ბარსელონაში თამაშს კიდევ დიდი ხნის განმავლობაში აპირებს.

გასულ სეზონში სერხი რობერტომ პსჟ-ს კარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა და ბარსელონას ისტორიული გამარჯვება მოუტანა.

## ჯეფრი კონდოგბიას ინტერში დაბრუნება არ სურს

ინტერის ფეხბურთელი ჯეფრი კონდოგბია ვალენსიაში დარჩენას არ გამორიცხავს. კონდოგბიამ ინტერში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა და თქვა, რომ ინტერში სრული არეულობაა და იქ დაბრუნდება მას არ სურს.



კონდოგბიამ განაცხადა, რომ ვალენსიაში ის ბედნიერია და იმედი აქვს, ამ გუნდში დიდხანს დარჩება.

კონდოგბია ინტერის საკუთრებაა, მაგრამ ვალენსიას აქვს მისი გამოსყიდვის უფლება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## პიკეს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა



ბარსელონის მცველ ხერარდ პიკეს ჩელსისთან შეხვედრაში ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და ამის გამო მან შესაძლოა ორი კვირა გამოტოვოს.

ჯერჯერობით ზუსტად არ არის ცნობილი, თუ რამდენ ხანს ვერ შეძლებს მოედანზე გამოსვლას პიკე, თუმცა ბარსელონის უახლოეს შეხვედრას ის აუცილებლად გამოტოვებს. რაც შეეხება ჩელსისთან განმეორებით მატჩს, პიკე იმ დროისთვის, სავარაუდოდ, მზად იქნება. თვითონ ბარსელონის მცველმა განაცხადა, რომ ბოლომდე მოიშუშებს ტრავმას და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდება მოედანზე.

## ტოტიმ სალაჰი შეაქო

რომას ლეგენდა ფრანჩესკო ტოტიმ თავის ყოფილ თანაგუნდელ მოჰამედ სალაჰზე ისაუბრა. ტოტის თქმით, სალაჰი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, თუმცა მას მეტი შეუძლია:

– როდესაც სალაჰის თამაშს ვუყურებ, სიამოვნებას ვიღებ. ის უკვე ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ მას აქვს პოტენციალი, რომ მოუმატოს და მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გახდეს. ის რომაშიც ერთ-ერთი ლიდერი იყო.

ტოტიმ და სალაჰმა ერთად ორი სეზონი ითამაშეს, თუმცა იმ პერიოდში ტოტი მოედანზე შედარებით იშვიათად გამოდიოდა.

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. 50-იანი წლების პოპულარული საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 2. ძველებური დაბალყელიანი, რბილი ტყავის ფეხსაცმელი საქართველოში; 3. თაღლითი, რომელიც რაიმე საქმის სპეციალისტად ასაღებს თავს; 4. ვაზის, ღვინის პატივსაცემი დღესასწაული ძველად საქართველოში; 5. ფეოდალი მთავრების სახელწოდება შუა საუკუნეების საქართველოში; 8. სამურაბე ლამბაქი; 9. სხვადასხვა ფერის, მინის მსგავსი, არაგამჭვირვალე მასა ლითონის საგნების ზედაპირის დასაფარავად; 12. ბერძნული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. მწვანით მოსილი, წყლიანი ადგილი უდაბნოში; 16. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება.

**თარაზულად**: 1. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 6. ავადმყოფური, ღრმა ძილის მდგომარეობა; 7. პატარა დროშა, ალამი; 9. საჭმელი სოკო; 10. ციხე-სიმაგრე ძველ თბილისში; 11. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 13. დაბა სიღნაღის რაიონში; 15. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი; 17. წითელი ფერის ძველი სახელწოდება; 18. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 19. შარლ გუნოს ოპერა; 20. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

